ინდივიდუალური კონიუგატები (ელუატების სახით) გავწმინდეთ ქაღალდზე ორმხრივი ქრომატოგრაფიის მეთოდით სხვადასხვა pH-ის გამხსნელთა სისტემაში და გავზომეთ რადიოაქტიურობა. ასეთი გზით დავადგინეთ კონიუგაციის პროდუქტების ხვედრითი წილი ბპ გარდაქმნის პროდუქტების ჯამში



(ცხრილი 1). წარმოდგენილი შედეგები გვიჩვენებს, რომ კონიუგაციის პროდუქტებში ჩართული  $^{14}\text{C}$  ატომთა წილი სიმინდში მეტია, ვიდრე ნაზარდში. შესაძლოა ეს იმით აიხსნება, რომ ქანგვითი ფერმენტული სისტემები ბარდის ფესვებში უფრო აქტიურია, ვიდრე სიმინდისაში, რის გამოც ბარდის ფესვებში უპირატესად მიდის ბმ მოლეკულების ქანგვითი დახლეჩა.


შევისწავლეთ ბმ კონიუგაცია ცილებთან.

10 დღიანი ბარდის ნაზარდები ინკუბირებულ იქნა  $7,10^{14}\text{C}$ -3,4-ბენზპირენისა (ცდა) და 3,4-ბენზპირენის (საკონტროლო) წყალხსნარებში, რომელთა კონცენტრაცია იყო  $10^{-4}\text{M}$ , ხოლო  $^{14}\text{C}$ -ბენზპირენის ხსნარის ხვედრითი რადიოაქტიურობა —  $2112,10^4$  ბეკერელი/მლ.

24 საათიანი ექსპოზიციის შემდეგ ბარდის ფესვებიდან გამოვყავით ცილა ცნობილი მეთოდით: ბიომასა დამუშავდა  $0,2\text{ M}$  ბორის ბუფერით ( $\text{pH}=7,4$ ), დაცენტრიფუგირდა, ცილა გამოილეკა  $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ -ით (90% გაჯერება), ნალექი გაიხსნა  $\text{NaCl}$ -ის ბორის ბუფერით ხსნარში ( $0,1\text{ N}; \text{pH}=7,4$ ) და ჩატარდა მიღებული ცილის ხსნარის 18 საათიანი დიალიზი გამოხდილი წყლის მიმართ. დიალიზის შემდეგ ცილა განისაზღვრა რაოდენობრივად ბ რ ე დ ფ ო რ დ ის მეთოდით [7].

სურ. 1. ელექტროფორეზა:

1. ცნობილი  $M_r$  ცილების ანაკრები
2. საკონტროლო ნიმუში
3. სიდელო ნიმუში



განვსაზღვრეთ ცილების მოლეკულური მასები ვერტიკალური ფირფიტოვანი SDS-გელელექტროფორეზის მეთოდით. ელექტროფორეზი სავატარეთ 7,5% პოლიაკრილამიდის გელზე მერკაპტოეთანოლის გარეშე. სტანდარტებად გამოვიყენეთ ცნობილი მასების მქონე ცილების ანაკრები (ფირმა „Pharmacia“ — შვედია).

ელექტროფორეზის შემდეგ ფირფიტებიდან ამოვჭერით გელის ის ნაწილები, რომელშიც ლოკალიზებული იყო  $^{14}\text{C}$ -იანი ნიმუშის შემადგენელი ცილები და ავითვალეთ გელის რადიოაქტიურობა დიოქსანის არეში სცინტილაციურ მთვლელზე.

ცილების რადიონობრივმა განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ საცდელი კონტროლო ნიმუშები თითქმის თანაბრი რადიონობით შეიცავენ ჯამურ ცილას.

საცდელი და საკონტროლო ნიმუშების შემადგენელი ჯამური ცილები ხასიათდებიან ერთნაირი განაწილებით პოლიაკრილამიდის გელზე — აქვთ Rf-ის ერთნაირი მნიშვნელობები, რაც მიუთითებს ცილოვანი ფრაქციების მსგავსებაზე.

საცდელი ნიმუშის შემადგენელ ცილებში რადიოაქტიურობის განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ  $^{14}\text{C}$  ატომები ჩართულია იმ ცილების მოლეკულებში, რომელთა Rf-2,40 და 5,50. ეს ცილები ლოკალიზებულია სტანდარტული ცილების — ალბუმინისა და კარბონაზიდრაზას გასწვრივ, რომელთა Mr არის 68 000 და 30 000 შესაბამისად (იხ. ელექტროფორეგრამის სქემა).

ამრიგად, ჩვენ მიერ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მიუთითებს, რომ ბენზპირენის მოლეკულები უკავშირდება ცილის მოლეკულებს. რადგან ელექტროფორეზის პროცესში არ ხდება ნაერთის დაშლა რადიოაქტიურ და არარადიოაქტიურ კომპონენტებად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბმე ბმე მოლეკულებსა და ცილის მოლეკულებს შორის არის კოვალენტური. სავარაუდოა აგრეთვე, რომ ბმე მოლეკულები, რომელთაც არ გააჩნიათ ფუნქციონალური ჯგუფები, ცილის მოლეკულებს უკავშირდებიან არა უშუალოდ, არამედ ჰიდროქსილირების პროდუქტების საშუალებით, როგორც ეს ხდება პეპტიდების მოლეკულებთან კონიუგირებისას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 1.7.1992)

БИОХИМИЯ

Д. ЧРИКИШВИЛИ, Т. ДЕВДАРИАНИ

## КОНЪЮГАЦИЯ 3,4-БЕНЗАПИРЕНА С РАСТИТЕЛЬНЫМИ ПЕПТИДАМИ И БЕЛКАМИ

Резюме

Показано, что одним из путей биотрансформации 3,4-бензапирена (БП) в растениях кукурузы и гороха является образование продуктов конъюгации с пептидами и белками.

Выявлено, что БП с молекулами пептидов связывается через продукты гидроксильирования. Установлены молекулярные массы белков, связывающие молекулы БП.

D. CHRIKISHVILI, T. DEVDARIANI

## 3,4-BENZOPYRENE CONJUGATION IN VEGETABLE PEPTIDES AND PROTEINS

## Summary

It is shown that one of the ways of biotransformation of 3,4-benzopyrene is the formation of conjugation products with peptides and proteins. It is stated that benzopyrene is connected with molecules by the products of hydroxylation. The molecular weight of the proteins, bound with benzopyrene molecules, is stated.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. I. Plakunov, T. A. Smolarek, D. L. Fischer. Carcinogenesis, 8, № 1, 1987, 59-66.
2. B. G. Niranjani, N. G. Avadhani. Biochem. and Biophys. Res. Common. 131, № 2, 1985, 935-942.
3. С. В. Дурмишидзе, Д. Ш. Угрехелидзе, Т. В. Девдариანი. Сообщ. АН ГССР, 70, 2, 1973, 469—472.
4. Th. V. Trenck, H. Sander mann. Febs letters, vol. 119, № 2, 1980, 227-231.
5. Д. Ш. Угрехелидзе, Б. А. Арзანი. Сообщ. АН ГССР, т. 100, № 3, 1980, 685—688.
6. С. В. Дурмишидзе, Д. И. Чрикишвили, Т. В. Бернашвили. Прикл. биохим. и микробиол., т. 21, № 3, 1985, 395—400.
7. M. M. Bradford. Analyt. Biochem., v. 72, 1976, 248-254.
8. Л. А. Остерман. Методы исследования белков и нуклеиновых кислот. М., 1981, 56—116.

მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია

ლ. ბასილაშვილი, ტ. რეაქინა, ნ. ნუცუბიძე (საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი)

საქართველოს ნიადაგებიდან გამოყოფილ AZOSPIRILLUM  
BRASILENSE-ის უბამების შესწავლა

ატმოსფერული აზოტის ფიქსაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ Azospirillum-ის გვარის წარმომადგენლებს. ამ მიკროორგანიზმების ფართო შესწავლა დაიწყო 1974 წლიდან, როდესაც დომერეინე რამა და დეიმ გამოყვეს იგი ტროპიკული ბალახების ფესვებიდან და აჩვენეს მათ მიერ აზოტის ფიქსაციის დიდი ეფექტურობა [1].

აღნიშნული მიკროორგანიზმები ჩვენ მიერ გამოყოფილ იქნა საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგებიდან (შავმიწა, მდელოს ჭარბტენიანი, წითელმიწა და მდელოს ყავისფერი).

აზოსპირილუმის გამოყოფას ნიადაგიდან ვახდენდით განზვევების მეთოდით [2]. სუფთა კულტურას ვღებულობდით პეტრის ფინჯნებზე განთესვით კარტოფილის აგარზე ან აგარიზეხულ არეზე D 100 მგ/ლ საფუარას ექსტრაქტის დამატებით.

საკვები არე D წარმოადგენს ბიულოვა-დობერეინერის მალატის ნახევრადთხევად არეს და მოდიფიცირებულია კალინიისკაიას და მისი თანამშრომლების მიერ [3]. ეს არე ითვლება, როგორც სელექციური აზოსპირილუმის გვარის წარმომადგენლებისათვის.

აზოსპირილუმის არსებობას ვადგენდით ფაზურ-კონტრასტულ მიკროსკოპში ცოცხალ უჯრედებზე დაკვირვების გზით. ეს უჯრედები ხასიათდებიან თავისებური ფორმით და სპირალისებურად მოძრაობენ, რის გამოც შესაძლებელი ხდება მათი გამორჩევა სხვა მიკროორგანიზმებისაგან.

მალატის ნახევრადთხევად არეზე ზრდის დროს ჩვენ მიერ გამოყოფილი აზოსპირილუმის კულტურები წარმოქმნიან თხელ ზედაპირულ აქს, ხოლო მყარ არეზე (კარტოფილის აგარზე) ვღებულობდით განსხვავებული ფორმის კოლონიებს. ზოგიერთი მათგანი (შტამი Γ-1, Γ-3) წარმოქმნის მცირე ზომის უსწორმასწორო ზედაპირის მქონე, ვარდისფერ კოლონიებს, ხოლო შტამები Γ-5 და Γ-6 იძლევიან დიდი ზომის გლუვ მოთეთრო კოლონიებს. ამ მიკროორგანიზმების უჯრედები წარმოადგენენ სუსტად მოხრილ ჯოხებს, ან აქვთ მრგვალი ფორმა. ზომები მერყეობს 0,5—0,9×1,2—2 მკმ ფარგლებში. ყველა უჯრედი მოძრავია, ახასიათებთ სპირალისებური მოძრაობა. თხევად საკვებ არეზე აქვთ ერთი პოლარული წამწამი, მყარ არეზე — პერიტრიხიალური. ყველა უჯრედი გრამუარყოფითია, ბიოტინს არ საპირობენ, არ ახასიათებთ ავტოტროფული ზრდა წყალბადზე.

აზოსპირილუმის სახეობა დადგენილ იქნა ტარანდის და სხვების მიხედვით [4]. ჩვენ მიერ გამოყოფილი შტამები მიეკუთვნებიან Azospirillum brasilense-ის სახეობას.



შესწავლილ იქნა აზოსპირილუმის ზრდა ნახშირბადის სხვადასხვა წყაროზე და მათი ნიტროგენაზული აქტივობა. აქტივობის განსაზღვრა ხდებოდა ნიტროცილინის მეთოდით [5] უაზოტო ნახევრადთხევად არეზე 0,08% აგარით 10 მლ-იან პენიცილინის შუშებში, რომელიც შეიცავდა 3 მლ საკვებ არეს და ვუ-მატებდით ნახშირბადის სხვადასხვა წყაროს. ნახშირბადის წყაროებად ვიყენებდით შემდეგ ნაერთებს: (შეგვქონდა საკვებ არეში 0,5% კონცენტრაციით) გლუკოზა, სახაროზა, სუქცინატი, რძემჟავა, ეთანოლი, პროპანოლი, ბუტანოლი, გლიცერინი, აცეტატი, ერბომჟავა.

აზოსპირილუმის ზრდას ვზომავდით ფოტოელექტროკოლორიმეტრზე 566ნ. მეტრ ტალღის სიგრძეზე ოპტიკური სიმკვრივის მატების მიხედვით. მიღებული შედეგები მოცემულია 1 ცხრილში.

## ცხრილი 1

Azospirillum brasilense-ის ზრდა და ნიტროგენაზული აქტივობა ნახშირბადის სხვადასხვა წყაროზე.

ნახშირბადის წყარო	ოპტიკური სიმკვრივე				ნიტროგენაზული აქტივობა, მმ C <sub>2</sub> H <sub>4</sub> მლ არეზე სთ-ში.			
	შტამების დასახელება							
	Γ-3	Γ-4	Γ-5	Γ-6	Γ-3	Γ-4	Γ-5	Γ-6
კონტროლი	0,001	0,002	0,002	0,001	0	0	0	0
გლუკოზა	0,555	0,195	0,385	0,405	47	42	31	35
სახაროზა	0,005	0,002	0,003	0,002	0	0	0	0
სუქცინატი	0,050	0,180	0,120	0,125	23	23	43	35
ლაქტატი	0,125	0,180	0,180	0,180	35	31	12	42
გლიცერინი	0,930	0,580	0,425	1,120	0,8	1	0,4	0,3
ეთანოლ.	2,175	0,750	0,710	0,605	0,03	12	0	0,007
ბუთანოლი	0,001	0,003	0,002	0,002	0	0	0	0
პროპანოლი	0,002	0,003	0,002	0,002	0	0	0	0
ძმარმჟავა	0,210	0,315	0,165	0,540	3,8	3,5	0,3	12
ერბომჟავა	1,450	1,250	1,160	1,215	27	35	0,6	31
მალატი	1,160	0,555	1,120	0,580	25	23	35	12

ცხრილიდან ჩანს რომ ეს მიკროორგანიზმები კარგად იზრდებიან გლუკოზაზე, გლიცერინზე, ეთანოლზე, ერბომჟავაზე, ძმარმჟავაზე, სუქცინატზე, მალატსა და ლაქტატზე, ხოლო ბუთანოლზე, პროპანოლსა და სახაროზაზე არ იზრდებიან. რაც შეეხება ნიტროგენაზულ აქტივობას, ისინი აღადგენენ აცეტატილენს გლუკოზაზე, ერბომჟავაზე, მალატზე, სუქცინატსა და ლაქტატზე. ლაქტატზე C<sub>2</sub>H<sub>2</sub>-ის აღდგენა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი Azospirillum lipoferum განსხვავებისათვის Azospirillum brasilense-გან, რამდენადაც Azosp lipoferum-ი არ იზრდება და არ ამჟღავნებს აქტივობას ლაქტატზე.

შესწავლილ იქნა აგრეთვე აზოსპირილუმის ზრდა და ნიტროგენაზული აქტივობა აზოტის სხვადასხვა წყაროზე (ნიტრატზე და ნიტრიტზე), სადაც აზოტი გვქონდა სხვადასხვა კონცენტრაციებით. კულტურას ვამრავლებდით ფედოროვა-კალინინსკაიას თხევად არეზე. ნახშირბადის წყაროდ შეგვქონდა 0,5% გლუკოზა, ვიღებდით ნიტრატის (KNO<sub>3</sub>) შემდეგ კონცენტრაციებს: 140 მგ-1 ლ-ში და 200 მგ 1 ლ-ში, და ნიტრატის (NaNO<sub>2</sub>) 2 კონცენტრაციას 28 მგ-1 ლ-ში და 70 მგ-1 ლ-ში. საკვებ არეს ვასხამდით 100 მლ-იან

ერლენმეიერის კოლბებში 20—20 მლ-ს და ვთესავდით *Azospirillum brasilense*-ის შტამებს Г—3, Г—4, Г—5 და Г—6. ნიტრატების მიმართ აზოსპირილუმის დამოკიდებულების შედეგები მოცემულია 2 ცხრილში.

## ცხრილი 2

*Azospirillum brasilense*-ის ზრდა ნიტრატთან არეზე და მათი ნიტროგენაზული აქტივობა

შტამის დასახელება	KNO <sub>3</sub> მგ/ლ	ობტიკური სიმკვრივე	ნიტროგენაზული აქტივობა მმ C <sub>2</sub> H <sub>4</sub> მლ არეზე სთ-ში
K	140	0,001	0
	200	0,002	0
Г3	140	0,145	0,5
	200	0,090	0,1
Г—4	140	0,115	0,3
	200	0,075	0
Г5	140	0,130	0,8
	200	0,100	0,7
Г6	140	0,130	1,4
	200	0,130	0,5

ცხრილიდან ჩანს, რომ *Azosp. brasilense*-ის შტამები უკეთესად იზრდებიან და შედარებით კარგად აფიქსირებენ აზოტს ნიტრატის დაბალი კონცენტრაციის დროს. რაც უფრო მაღალია ნიტრატის კონცენტრაცია, მით უფრო სუსტია მათი ზრდა და შესაბამისად სუსტდება ნიტროგენაზული აქტივობაც.

რაც შეეხება ნიტრატებს, ეს შტამები არ იზრდებიან მათზე. ე. ი. მიეკუთვნებიან *nir*-შტამებს (ნიტრიტს არ ალაღვენენ).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი,

(შემოვიღა 15.7.1992)

МИКРОБИОЛОГИЯ И ВИРУСОЛОГИЯ

Л. А. БАСИЛАШВИЛИ, Т. В. РЕДЬКИНА, Н. Н. НУЦУБИДZE

ИЗУЧЕНИЕ ШТАММОВ *AZOSPIRILLUM BRASILENSE*,  
ВЫДЕЛЕННЫХ ИЗ ПОЧВ ГРУЗИИ

Резюме

Из разных типов почв Грузии выделены штаммы *Azospirillum brasilense*. Изучены морфологические и физиологические свойства этих штаммов, а также их нитрогенезная активность.

Показано, что выделенные нами микроорганизмы хорошо растут и активно фиксируют азот на глюкозе, масляной кислоте, малате, сукцинате и лактате. Эти штаммы не размножаются на нитрите, но хорошо растут на нитрате и фиксируют молекулярный азот. Высокие концентрации нитрата подавляют рост и нитрогенезную активность этих штаммов.



I. BASILASHVILI, T. REDKINA, N. NUTSUBIDZE

THE STUDY OF AZOSPIRILLUM BRASILENSE STRAINS ISOLATED  
FROM SOILS IN GEORGIA

## Summary

Azospirillum brasilense strains have been isolated from different kinds of soils in Georgia. Their morphological, physiological properties and their nitrogenase activity have been studied.

It is shown that the microorganisms, isolated by us, grow well and actively reduce acetylene on glucose, fatty acid, malate, succinate and lactate. These strains do not grow on nitrite, but they grow well on nitrate and fix nitrogen. The high nitrate concentration depresses the growth of the strains as well as their nitrogenase activity.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. J. M. D o b e r e i n e r, K. M. D a y. Proceedings of the first international symposium of nitrogen fixation. Washington State University press. Palman, 1976, 518—538.
2. Д. Г. Звягинцев, И. В. Асеева, И. П. Бабьева, Т. Г. Мичник. Методы почвенной микробиологии и биохимии. М., 1980, 342—38.
3. Т. А. Калининская, Т. В. Редькина, Ю. М. Белов, Л. Т. Инподитов и А. В. Кокунов. Микробиология, 50, 5, 1981, 924.
4. I. I. T a r a n d, N. R. K r i e g, D o b e r e i n e r. Canad. J. Microbiol., 24, 8, 1978, 967.
5. R. W. H a r d y. Plant Physiol., 48, 5, 1968, 1185.



МИКРОБИОЛОГИЯ И ВИРУСОЛОГИЯ

Н. И. ПАРКОСАДЗЕ, А. Е. ШУБИТИДЗЕ

К САНИТАРНОМУ СОСТОЯНИЮ ЖИНВАЛЬСКОГО ВОДОХРАНИЛИЩА

(Представлено членом-корреспондентом Академии Б. Е. Курашвили 19.11.1992)

Жинвальское водохранилище является одним из основных источников водоснабжения города, поэтому проведение исследования с целью изучения санитарного состояния водоема имеет большое значение.

Исследования проводились в 1989—1990 гг. Одной из главных задач являлось изучение основных групп бактерий, характеризующих санитарное состояние данного водоема. Пробы были отобраны на 8 станциях водоема, в 8 точках на впадающих в водоем реках (с целью выяснения их роли в загрязнении водоема) и в отстойниках, откуда происходит водоснабжение.

Для выявления общего количества бактерий применялся метод Разумова (1948) с подсчетом микробов на фильтре «Сыппор» при диаметре пор 0,3 мкм. Подсчет количества гетеротропных микроорганизмов производился на стандартном мясо-пептонном агаре при 37°C.

Бактерии группы кишечной палочки определялись стандартным методом на фуксинсульфатной среде «эндо» в течение 24 часов при 37°C. В результате исследования выяснилось, что в водохранилище общее количество бактерий было низким (в среднем 3,2 тыс/мл).

В вертикально-горизонтальном распределении бактерий больших различий не отмечалось. Что касается их сезонного распределения, сравнительно высокими показателями численности характеризовались зима и лето (324—403 тыс/мл). Наибольшее количество бактерий было в местах стока реки Гудамакарской Арагви (ст. 7, 8) и селения Ананури (ст. 1, 2) в июле.

В течение всего года преобладали палочковидные неспорозные формы, изредка же попадались крупные палочки, в небольшом количестве — кокки и нитевидные формы.

Что касается степени фекального загрязнения водохранилища (табл. 1), наиболее загрязненной оказалась береговая зона водоема.

Таблица 1

Количество бактерий общекишечных заболеваний в воде Жинвальского водохранилища (кол/мл)

Ст./сез.	1	2	3	4	5	6	7	8
V—1990	16	6	7	4			4	44
VII—1990	9	18	12		6		4	12
X—1990		1	0		0		0	0
VII—1991	1	1	1		0		0	

Таблица 2

Количество общеклеточных (кт) и сапрофитных (мп/кт) бактерий р. Араган до и после Живильского водохранилища

№	Пункты	21/VI		28/VI		5/VII		12/VII		20/VII		25/VII		2/VIII	
		КТ	МПА	КТ	МПА	КТ	МПА	КТ	МПА	КТ	МПА	КТ	МПА	КТ	МПА
1	Тетри Араган	0,008	227		192		790	0,03	750	0,1	380	0,005	слон	0,2	600
2	Шахи Араган					0,01		0,03		0,04		0,005		0,03	
3	Аванური				слон		1000	0,01	1340	1	990		12240	0,05	3580
4	Жიშალა	0,0004	77		слон		490		1540		140	0,3	21000	1	2650
5	შუახო				слон	0,3	50		250	0,0006	2030			0,2	3930
6	Зედა Барსაღო				слон	0,1	20		1740	0,0003	1740			0,003	4410
7	კადა Барსაღო				71		390	0,2	9600	0,0005	670			0,05	2080
8	Пишанс Араган	0,00001	283		137		800	0,2	380	0,002	300	0,05			
9	Бодორია		132		112		390		2510		310		350	0,05	3430
10	ჭოგორა				слон		150	0,02	2850	1	1460	0,02	90	0,1	470
11	ნაღატარი				слон		40			3	250	0,3	1500	0,1	2190
12	ბულაღური						200		4780		600		200	0,03	3760
13	არშიანი	0,00003	305		49		40	0,1	580		100				

Особенно загрязнено было место впадения Гудамакарской Арагви, где количество кишечных бактерий (на «эндо») доходило до 35 кол/мл, из которых в мае 1990 г. все оказались колибактериями, а в июле — лишь 23 и 35 колоний были с характерным металлическим блеском.

В водохранилище поступают воды Мтиулетской и Гудамакарской Арагви, которые протекают по густонаселенным территориям. Загрязнение рек начинается с их верховьев, берега которых используются местным населением под пастбище. В силу топографии местности дождевыми водами в реки смываются почвенные загрязнения, а также ежедневные бытовые отходы от ряда баз отдыха, расположенных вдоль Мтиулетской Арагви.

Результаты исследования по фекальному загрязнению в реках представлены в табл. 2. Сильно загрязненной оказалась вода во второй половине июня у пункта Авшнани, а также вместе слияния воды Тетри и Шави Арагви, где максимум бактерий общекишечных заболеваний (сальмонеллы, шигелии и др.) доходил до 110—170 тыс/мл, а коли-титр — до 0,0008. Даже в период многоводья численность этих бактерий продолжала оставаться высокой. Что касается сапрофитных бактерий, их численность доходила до 7—21 тыс. кол/мл. В отдельных случаях посевы на питательной среде давали сплошной рост.

После выхода из водохранилища вода поступает в отстойники: Бодорна, Натахтари, Чопорти и др., которые плохо защищены от антропогенного воздействия, в результате чего в них коли-индекс доходил до 10000—40000.

Сравнительно защищенным оказался Авшнани, где коли-индекс не превышал 1000. Кроме того, коллектор, проходящий рядом с отстойником, нередко бывает поврежденным и может оказаться источником загрязнения. За время наших исследований такое повреждение было зафиксировано около Натахтари.

Академия наук Грузии  
Институт зоологии

(Поступило 20.8.1992)

მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია

ბ. ფარქოსაძე, ა. შუბინიძე

ქინვალის წყალსაცავის სანიტარული მდგომარეობის  
შესწავლისათვის

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია ქინვალის წყალსაცავის, მისი მკვებავი მდინარეების და საწდობი ორმოების სანიტარული მდგომარეობა.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბაქტერიების საერთო რაოდენობის მაჩვენებლები დაბალია. შედარებით მაღალია მათი რაოდენობა ზაფხულისა და ზამთარში. კოლიბაქტერიების გაზრდილი რაოდენობით ხასიათდება ზაფხულის პერიოდი. განსაკუთრებით მაღალია დაჭუჭყიანების ხარისხი გუდამაყრის არაგვის შესართავთან. რაც შეეხება საწდობი ორმოების სანიტარულ მდგომარეობას, შედარებით დაცულია პუნქტი ავშნიანთან.



N. PARKOSADZE, A. SHUBITIDZE

ON THE STUDY OF SANITARY STATE IN ZHINVALI  
RESERVOIR

## Summary

The sanitary state of Zhinvali Reservoir, sedimenting pits and rivers, feeding the Reservoir are presented in the paper.

The study has shown the low index of the total number of bacteria, which is comparatively high in summer and winter. The summer period is characterized by the increased number of colibacteria. The pollution degree is especially high at the mouth of the Gudamakari Aragvi.

As regards the sedimenting pits, the sanitary state is more or less observed at the point of Avshniani.



ციტოლოგია

ნ. თოფურია, ლ. გოგიაშვილი, ი. კვახაძე

T-ლიმფოციტების ულტრასტრუქტურა და იმუნოლოგიური  
მაჩვენებლების ცვლილებები სისტემური წითელი მგლურას დროს  
T-აქტივინით მკურნალობისას ბავშვთა ასაკში

(წარმოდგინა აკადემიკოსმა ნ. ჭავჭავაძემ 21.7.1992)

ავტოიმუნურ დაავადებებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი უკავია სისტემურ წითელ მგლურას (სწმ), რომლის პათოგენეზში წამყვანი ადგილი უჭირავს იმუნური პომეოსტაზის დარღვევების ფართო სპექტრს. გამოვლენილია, რომ ავტოიმუნური რეაქციები ვითარდება T-ლიმფოციტების საერთო რაოდენობის შემცირებით და მის სუბპოპულაციებს — ჰელპერებსა და სუპრესორებს შორის თანაფარდობის დარღვევით [1, 2].

ავტოიმუნური დაავადების დროს ლიმფოციტების შესწავლის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მათი ციტოქიმიური ანალიზი, რადგანაც იმუნოპათოლოგიურ პროცესებს საფუძვლად უდევს დარღვევები T და B ლიმფოციტების სტრუქტურასა და მეტაბოლიზმში, ამიტომ ამ უჯრედების უტრასტრუქტურული ცვლილებების გამოკვლევა აღრმავებს წარმოდგენას ავტოიმუნური რეაქციების მორფოლოგიური ეკვივალენტის შესახებ სწმ-ს დროს და ამდენად დახმარებას გაგვიწევს დაავადების დიაგნოსტიკასა და მკურნალობის შედეგების შეფასებაში [3].

სწმ მკურნალობაში ბოლო დროს კორტიკოსტეროიდებისა და იმუნოდეპრესანტების გარდა გამოიყენება იმუნომამოღულობელი პრეპარატები. იმუნოდეპრესანტები თვით ქმნიან მეორეულ იმუნოდეფიციტს, რაც კიდევ უფრო აღრმავებს იმუნურ სისტემაში არსებულ დისბალანსს, ამიტომ სწმ მკურნალობაში მიზანშეწონილია იმუნომოდულატორის ჩართვა [4, 5].

შრომის მიზანს წარმოადგენდა სწმ დაავადებული ბავშვების პერიფერიული სისხლის T-ლიმფოციტებში ულტრასტრუქტურული ცვლილებების შესწავლა უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მდგომარეობის გათვალისწინებით იმუნომოდულატორით მკურნალობის დინამიკაში.

უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მდგომარეობას ვსაზღვრავდით შემდეგი მეთოდებით: T-ლიმფოციტები და მისი სუბპოპულაციები — T-საერთო, T-ჰელპერები და T-სუპრესორები ისაზღვრებოდა შესაბამისად ანტი-OKT3+, OKT4+ და OKT8+ სერების მონოკლონური ანტილიმფოციტური ანტი სხეულებით (ფორმა „Orto. Diagnostic Systems“, აშშ) [6]. β-ლიმფოციტების პროცენტული რაოდენობა ისაზღვრებოდა კომპლემენტური როზეტების წარმოქმნის მეთოდით [7], შრატისმიერი იმუნოგლობულინები G, A, M მანჩინის რადიალური იმუნოდიფუზიის მეთოდით (1965). ლიმფოციტების ულ-



ტრასტრუქტურა შესწავლავდა ელექტრონულ-მიკროსკოპული Tesla RS-500 ტიპის მიკროსკოპზე.

ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 2—15 წლამდე ასაკის 33 ავადმყოფი ბავშვი, აქედან 2-დან 5 წლამდე — 8, 5-დან 7 წლამდე — 5, 7-დან 10 წლამდე, —10, 10-დან 15 წლამდე — 10 ავადმყოფი, მათგან 23 გოგონა და 10 ვაჟი.

საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა 2—15 წლამდე ასაკის 35 ჯანმრთელი ბავშვის მონაცემები. სწმ დიაგნოზისა და დაავადების მიმდინარეობის ხასიათის დასადგენად გამოიყენებოდა ამერიკის რემატოლოგთა ასოციაციის კრიტერიუმები (1982).

9 ავადმყოფს აღინიშნებოდა მწვავე, 11 — ქვემწვავე, 13-ს დაავადებას ქრონიკული მიმდინარეობა. აქტივობის III ხარისხით ჰოსპიტალიზებული იყო 11 ავადმყოფი, II ხარისხით — 12 და I ხარისხით — 10 ავადმყოფი.

ავადმყოფები ღებულობდნენ იმუნომოდულატორ T-აქტივის აზისური თერაპიის ფონზე. T-აქტივით მკურნალობა ტარდებოდა შემდეგი სქემით: 3-დან 7 წლამდე — 0.5 მლ (50 მკგ), 7-დან 15 წლამდე — 1 მლ (100 მკგ). პრეპარატს ღებულობდნენ დღეში ერთჯერ 10 დღის განმავლობაში, მეორე კურსი ტარდებოდა 10-დღიანი ინტერვალის შემდეგ იმავე დოზებით 7 დღე.

როგორც ჩვენ მიერ მიღებული მონაცემებიდან ჩანს (ცხრ. 1), სწმ დროს აღინიშნება T-საერთო ლიმფოციტების (OKT3<sup>+</sup>) პროცენტული რაოდენობის შემცირება და მისი სუბპოპულაციების დისბალანსი, რომელთაგან მნიშვნელოვანია T-სუპრესორების (OKT8<sup>+</sup>) აქტივობისა და პროცენტული რაოდენობის დაქვეითება და T-ჰელპერების (OKT4<sup>+</sup>) მომატება; β-ლიმფოციტების პროცენტული რაოდენობა მომატებულია, შრატისმიერი იმუნოგლობულინების G, A, M პროდუქცია გაძლიერებულია, ეს ცვლილებები პირდაპირ დამოკიდებულებაშია დაავადების კლინიკურ მიმდინარეობასა და აქტივობასთან. უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის ყველაზე დრმა ცვლილებები აღინიშნა დაავადების მწვავე მიმდინარეობისა და მაქსიმალური აქტივობის დროს.

მკურნალობის დაწყებამდე აღებულ სისხლის ნიმუშებში T-ლიმფოციტების ულტრასტრუქტურა შეცვლილი იყო. განსაკუთრებით ზიანდებოდა უჯრედის ბირთვის ახლო ზონა, რომელშიც აღინიშნებოდა მოზრდილი პერინუკლეარული ვაკუოლი (სურ. 1), ციტოპლაზმის ლოკალური ლიზისი, ხოლო მიტოქონდრიები იყო შესივებული დაშლილი კრიბტებითა და მატრიქსით. უჯრედის ციტოპლაზმაში მკვეთრად მცირდებოდა T-ლიმფოციტებისათვის დამახასიათებელი ლიზოსომური ჩანართების რაოდენობა და სიმკვრივე: აღინიშნებოდა მხოლოდ ერთეული, წვრილი, დისპერსიული ელექტონული სიმკვრივის პირველადი ლიზოსომები (სურ. 1).

ბაზისურ თერაპიაში იმუნომოდულატორ T-აქტივის ჩართვამ დადებითი კლინიკური ეფექტის ფონზე მოგვცა იმუნოლოგიური მაჩვენებლების ნორმალიზება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია T-ლიმფოციტების იმუნოსარგულაციო სუბპოპულაციების თანაფარდობის გამოსწორება, კერძოდ T-სუპრესორების (OKT8<sup>+</sup>) პროცენტული რაოდენობის მომატება და T-ჰელპერების (OKT4<sup>+</sup>) რაოდენობის შემცირება, აგრეთვე ჰუმორული იმუნიტეტის მაჩვენებლების დადებითი დინამიკა, რაც გამოვლინდა B-ლიმფოციტების პროცენტული რაოდენობისა და შრატისმიერი იმუნოგლობულინების G, A, M კონცენტრაციის შემცირებით.




იმუნოლოგიური პარამეტრების დინამიკა სწრაფი რესპონსით შეტანილი ვეჯინის მუცლის ღრუს ტ-ცელური უჯრედების ზეგავსებში

იმუნოლოგიური პარამეტრები	დინამიკა n=35	დაცელების სტრუქტურა					
		I ხარისხი		II ხარისხი		III ხარისხი	
		ვეჯინის მუცლის ღრუს %	ვეჯინის მუცლის ზეგავსება	ვეჯინის მუცლის ღრუს	ვეჯინის მუცლის ზეგავსება	ვეჯინის მუცლის ღრუს	ვეჯინის მუცლის ზეგავსება
OKT3 <sup>+</sup> (მსიჯრ.) %	65,9 ± 0,2	61,04 P 0,001	65 ± 0,4 P <sub>1</sub> 0,001	56 ± 0,2 P 0,0001	63 ± 0,3 P <sub>1</sub> 0,001	52 ± 0,3 P 0,0001	60 ± 0,5 P <sub>1</sub> 0,0001
OKT4 <sup>+</sup> (მ-სეჯრ.) %	36,5 ± 0,2	38,8 ± 0,4 P 0,1	35,8 ± 0,4 P <sub>1</sub> 0,001	41 ± 0,3 P 0,0001	36,5 ± 0,3 P <sub>1</sub> 0,0001	45 ± 0,3 P 0,0001	38 ± 0,3 P <sub>1</sub> 0,0001
OKT8 <sup>+</sup> (რ-სეჯრ.) %	25,5 ± 0,2	20,5 ± 0,3 P 0,05	23,7 ± 0,5 P <sub>1</sub> 0,001	17 ± 0,2 P 0,0001	23,8 ± 0,3 P <sub>1</sub> 0,0001	14 ± 0,2 P 0,0001	21 ± 0,4 P <sub>1</sub> 0,0001
OKT4 <sup>+</sup> /OKT8 <sup>+</sup>	1,4 ± 0,1	1,9 ± 0,15 P 0,0001	1,5 ± 0,1 P <sub>1</sub> 0,0001	2,5 ± 0,1 P 0,0001	1,6 ± 0,2 P <sub>1</sub> 0,0001	3,2 ± 0,1 P 0,0001	1,1 ± 0,1 P <sub>1</sub> 0,0001
B <sub>22</sub> %	12,4 ± 0,3	17,5 ± 0,1 P 0,0001	14,2 ± 0,4 P <sub>1</sub> 0,001	20 ± 0,2 P 0,0001	14 ± 0,3 P <sub>1</sub> 0,0001	24 ± 0,5 P 0,0001	16 ± 0,7 P <sub>1</sub> 0,0001
IgG მ <sub>2</sub> %	1212 ± 28,5	1570 ± 17 P 0,0001	1284 ± 26 P <sub>1</sub> 0,0001	1602 ± 26 P 0,0001	1284 ± 16 P <sub>1</sub> 0,0001	1827 ± 6,8 P 0,0001	1463 ± 45 P <sub>1</sub> 0,0001
IgA მ <sub>2</sub> %	246 ± 15	350 ± 18 P 0,0001	345 ± 13 P <sub>1</sub> 0,0001	347 ± 6,4 P 0,01	268 ± 6,7 P <sub>1</sub> 0,0001	309 ± 12,2 P 0,0001	306 ± 11 P <sub>1</sub> 0,01
IgM მ <sub>2</sub> %	130 ± 2,5	167 ± 2,1 P 0,01	143 ± 9,6 P <sub>1</sub> 0,0001	175 ± 1,7 P 0,0001	141 ± 2,7 P <sub>1</sub> 0,0001	196 ± 2,5 P 0,0001	160 ± 2,3 P <sub>1</sub> 0,0001





მკურნალობის შემდეგ პერიფერიულ სისხლში სკარბობდა ტები, რომელთა ციტოპლაზმაში არ აღინიშნება ვაკუოლიზაცია და ციტოლიზი.



სურ. 1. პერიფერიული სისხლის T-ლიმფოციტი მკურნალობამდე სწმ მწვევე მიმდინარეობისა და აქტუობის III ხარისხის დროს. ბირთვის ახლოს ზონაში მოზრდილი ვაკუოლი (1), რომელიც აწევა ბირთვის მემბრანას, მიტოქონდრიების შიდა მემბრანა და კრისტები დაშლილია (2), მცირე ზომის პირველადი ლიზოსომები (3) (X 8000)

ამრიგად, დაკვირვების შედეგები ადასტურებენ, რომ სწმ მიმდინარეობს T-ლიმფოციტების დეფიციტით, მათი სუპრესორული ფუნქციის დეპრესიით, რომელიც იმუნომოდულატორის T-აქტივინის გამოყენების ფონზე კორექციას განიცდის. ამას ადასტურებენ T-ლიმფოციტების ულტრასტრუქტურული და ფუნქციურ-მორფოლოგიური გამოკვლევის შედეგები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი

თბილისის სახელმწიფო  
სამედიცინო ინსტიტუტი

(შემოვიდა 28.7.1992)

## ЦИТОЛОГИЯ

Н. Л. ТОПУРИДЗЕ, Л. Е. ГОГИАШВИЛИ, И. М. КВАЧАДЗЕ

### УЛЬТРАСТРУКТУРА Т-ЛИМФОЦИТОВ И ИЗМЕНЕНИЯ ИММУНОЛОГИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ У ДЕТЕЙ ПРИ ЛЕЧЕНИИ СИСТЕМНОЙ КРАСНОЙ ВОЛЧАНКИ Т-АКТИВИНОМ

#### Резюме

Выявлена депрессия клеточного и гиперфункция гуморального иммунитета, особенно при остром течении СКВ с активностью III степени. Включение в базисную терапию Т-активина в дозе 50—100 мкг у детей от 2 до 15 лет оказало нормализующий эффект на иммунологические показатели.

В Т-лимфоцитах до воздействия Т-активина выявились крупные перинуклеарные вакуоли, сдавливающие ядро, локальный лизис цито-

плазмы; резко уменьшилось число и плотность митохондрий и нуклео-  
 ных лизосом.

На фоне лечения T-активином в лимфоцитах, предположительно в T-супрессорах, увеличивается содержание лизосом, свободных нуклео-  
 протеидных компонентов, уменьшается отек клетки. Эти изменения со-  
 провождаются увеличением процентного содержания ОКТ 8<sup>+</sup> клеток,  
 снижением количества В-лимфоцитов и основных классов сывороточных  
 иммуноглобулинов.

## CYTOLOGY

N. TOPURIDZE, L. GCGIASHVILI, I. KVACHADZE

### T-LIMPHOCYTE ULTRASTRUCTURE AND THE CHANGES OF IMMUNOLOGIC VALUES IN THE TREATMENT OF SYSTEMIC LUPUS ERYTHEMATOSUS BY T-ACTIVIN IN CHILDREN

#### Summary

Depression of the cellular immunity and hyperfunction of the humoral immunity, in particular in acute course of ELE with III degree activity, have been revealed.

Administration of the T-activin dozed 50—100 mcg in the basic therapy for the children from 2 to 15 years caused the normalizing effect on immunologic values.

Large perinuclear vacuoles squeezing nucleus, local lysis of the cytoplasm were detected before T-activin influence in the T-lymphocytes, as well as a sharp decrease of number and density of mitochondrions and the primary lysosomes.

Against the background of T—activin treatment, content of the lysosomes, as well as free nucleoprotein compounds, increases and celloedems decreases in the lymphocytes, presumably in T—suppressors.

These changes are accompanied by increasing ОКТ8<sup>+</sup> cells content percentage, while B-lymphocyte number and basic classes of serum immunoglobulins are decreased.

#### ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. В. А. Насонова. Системная красная волчанка. М., 1972, 248.
2. Л. А. Исаева. Детские болезни. М., 1987, 294—304.
3. М. В. Робинсон. Морфология и метаболизм лимфоцитов. М., 1986, 3—15.
4. R. S. Schwartz. Sprigher. semin. Immunopatol. Vol. 7, № I, 1984, 3-7.
5. E. M. Veys, E. S. Huskisson. Ann rheum. Dis. 1982. Vol. 441—443.
6. P. S. Kung, S. Goldstein. Science, № 206, 1979, 347—349.
7. L. Blanco, R. Patrick, S. N. Nussenzweig. S. Exd. med., I, 132, 1976, 702-720.



ძ. ლაბაზიძე

## ლაბორატორიული თავგების სისხლის აღების მეთოდი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ბახტაშვილმა 3.7.1992)

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისას ექსპერიმენტში ხშირად გამოიყენება ლაბორატორიული ცხოველები, მათ შორის ლაბორატორიული თავგი, მაგრამ თავგის მასის და ზომების სიმციროს გამო, მისგან დიდი რაოდენობით სისხლის აღება გაძნელებულია.

ლიტერატურაში მოწოდებულია ლაბორატორიული თავგის სისხლის აღების რამდენიმე მეთოდი [1], იხ. ცხრილი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცნობილი მეთოდებით სისხლის შედარებით დიდი რაოდენობით აღება შესაძლებელია მხოლოდ გულიდან ან დეკაპიტაციის საშუალებით. დეკაპიტაცია ერთგვარად ბარბაროსული აქტია და თან არ იძლევა სისხლის განმეორებითი აღების საშუალებას. რაც შეეხება სისხლის აღებას ცხოველის გულიდან, ის ტექნიკურად რთული განსახორციელებელია, რაც შეპირობებულია გულის ზომების სიმცირით, ლოკალიზაციის დადგენა სიძნელით, ჩხვლეტის სიღრმის განსაზღვრის სიზუსტით და ა. შ. ამის გამო ხშირ შემთხვევაში აღნიშნული მეთოდით სისხლის აღება ვერ ხერხდება.

ჩვენ შევიმუშავეთ ლაბორატორიული თავგების სისხლის აღების შედარებით სრულყოფილი მეთოდი, რომელიც იძლევა სისხლის შედარებით დიდი რაოდენობით მიღების საშუალებას და მდგომარეობს შემდეგში: თავგს ეძლევა ეთერის მსუბუქი ინჰალაციური ნარკოზი, რის შემდეგ იგი ფიქსირდება საფიქსაციო ფირფიტაზე მუცლით ზევით. ლავიწქევესა არეში პინცეტით აიწვევა კანი და იკვეთება. თუ ცდისათვის საჭიროა სისხლის მაქსიმალური რაოდენობა (1,5—2,0 მლ), მაკრატლით იკვეთება ლავიწქევესა ვენა და არტერია, რის შემდეგ სისხლი გროვდება ჭრილობაში. სისხლის აღება ხდება შპრიცით, რომელშიც წინასწარ არის აღებული ფიზიოლოგიური ხსნარისა და ჰეპარინის ნარევი ისე, რომ 1 მლ სისხლზე მოდიოდეს ჰეპარინის 20 ერთეული. თუ საჭიროა სისხლის შედარებით მცირე რაოდენობა (0,2—0,5 მლ), იკვეთება მხოლოდ ილღის ვენა. სისხლის აღების შემდეგ ჭრილობას ედება ტამპონი. სისხლის განმეორებითი აღება შესაძლებელია 3—5 დღის შემდეგ.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდი ტექნიკურად ადვილი განსახორციელებელია და იძლევა სისხლის დიდი რაოდენობით მიღების საშუალებას. მეთოდი აგრეთვე იძლევა იმავე ცხოველზე სისხლის განმეორებით აღების შესაძლებლობას, ე. ი. დაკვირვების ჩატარების საშუალებას პათოლოგიური პროცესის დინამიკაში.

ანტიკოაგულანტის გამოყენების გარეშე, სისხლი აღებისას დედდება და ცდისათვის უფარგისი ხდება. თუ ექსპერიმენტში ანტიკოაგულანტად აღებულია ჰეპარინი, საჭიროა მისი დოზირება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლის დროს, რადგან ჰეპარინის სხვადა-

ԼՍԻԿԱԿԱՆ ՍԱՅՄԱՆ ԿՈՄԻՏԵ



ՄԱՐԿԵՏԻՆԳ  
 ԵՎ ԳՆԱԿՈՒԹՅԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵ

	1	2	3	4	5	6	7
	ՀԾԾ	ՀԾԾ	ՀԾԾ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ԳՆԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ
ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ			ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ԳՆԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ
ՎՈՒՄԻՆԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ				ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	
ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ
ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ	ՉՄԻՆԻՄԵՆՏԱԿԱՆ ԳՆԱԿԱՆ ԲՈՒՆ

ԼՍԻԿԱԿԱՆ ՍԱՅՄԱՆ ԿՈՄԻՏԵ



სხვა დოზა სხვადასხვანაირად მოქმედებს ერთროციტების მემბრანებზე ამიტომ, თუ ექსპერიმენტი მიზნად ისახავს ერთროციტების მემბრანებზე მათ დეფორმაციასთან დაკავშირებულ პრობლემების გარღვევას, ეს მომენტი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

იმის გამო, რომ 1—5 მეთოდებით აღებული სისხლის რაოდენობა მცირეა, ტექნიკურად რთულია ჰეპარინით ზუსტი განზავება. აქედან გამომდინარე, ამ მეთოდებით აღებული სისხლი ვერ დააკმაყოფილებს ყველა ცდის პირობას.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდი გამოირჩევა ჰეპარინით ზუსტი განზავების ტექნიკურ სირთულეს, ამიტომ სისხლი გამოყენებისას არ დედდება. ყურადსაღებია ისიც, რომ 4—6 მეთოდებით სისხლის აღებისას გამოყენებულია არაინჰალაციური ღრმა ნარკოზი, რაც არსებით გავლენას ახდენს მიკროციტულა ცილაზე [2] და ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე, რაც ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებს ნაკლებად სარწმუნოს ხდის. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდი ითვალისწინებს მსუბუქი ინჰალაციური ნარკოზის გამოყენებას და ამიტომ გარკვეულად თავიდან არის აცილებული აღნიშნული უარყოფითი მომენტები.

ლიტერატურიდან ცნობილია [3], რომ ქირურგიული ზემოქმედება გავლენას ახდენს ერთროციტების მემბრანების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე. იმ მიზნით, რომ დაგვედგინა სისხლის აღების ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდის ვარგისიანობა, შევისწავლეთ ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობა სისხლის აღების მეთოდთან დაკავშირებით.

ექსპერიმენტი ჩატარდა 50 ლაბორატორიულ თავვეზე, 25 თავვიდან სისხლი აღებული იყო დეკაბიტაციის საშუალებით, ხოლო დანარჩენი 25 თავვიდან— ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით. ერთროციტების ოსმოსურ რეზისტენტობას ვსაზღვავდით ჰემოლიზის დიფერენციალური მრუდების საშუალებით, რომელიც მიიღებოდა უშუალოდ ფოტომეტრიების პროცესში ერთროციტების სუსპენზიაში გამოხდილი წყლის მუდმივი სიჩქარით შეყვანის გზით [4,5]. სუსპენზიაში უჯრედების ნორმირებას (1000 უჯრედი მკლ-ში) ვაწარმოებდით ოპტიკური სიმკვრივის ( $D=0.70$ ) მიხედვით  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. მახასიათებელ სიდიდედ შერჩეულ იქნა  $T$  (წმ) — ერთროციტების სუსპენზიაში გამოხდილი წყლის შეყვანის მომენტიდან ჰემოლიზის მაქსიმალური სიჩქარით განვითარების მომენტიამდე გასული დრო, რომელიც გამოხატავს ერთროციტების საშუალო ოსმოსურ მდგრადობას.

დეკაბიტაციით აღებული სისხლის შემთხვევაში  $T=148,4 \pm 3,3$ ; ხოლო ჩვენი მეთოდის გამოყენების დროს  $T=161 \pm 2$ . ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობის ფარდობითი ცდომილება ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით სისხლის აღებისას შეადგენს 1,24%-ს, მაშინ როდესაც დეკაბიტაციით აღებული სისხლის ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობის ფარდობითი ცდომილება 2,22%-ია. ე. ი. ჩვენი მეთოდით აღებული სისხლის ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობის ფარდობითი ცდომილება შემცირებულია 1,8-ჯერ. ვინაიდან ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობის გამოკვლევა მიმდინარეობდა ერთი და იმავე მეთოდით, იდენტურ ექსპერიმენტულ პირობებში ეს მონაცემები ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდის შედარებით უპირატესობაზე მეტყველებს.

განსხვავებით მე-2 მეთოდისაგან, რომელშიც სისხლის აღებისას იხმარება სპეციალური ვაკუუმიანი ბალონი, ჩვენი მეთოდი არ საჭიროებს სპეციალურ ხელსაწყოსა და იარაღებს. გამოყენებულია ყველასათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო ინსტრუმენტები, როგორცაა: პინცეტი, მაკრატელი და შპრიცი.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდით შესაძლებელია:

1. სისხლის დიდი რაოდენობით აღება (1,5—2,0 მლ).
2. ტექნიკურად ადვილი შესასრულებელია.
3. გამოყენებულია მსუბუქი, ინჰალაციური ნარკოზი, რითიც თავიდან არის აცილებული ის უარყოფითი მომენტები, რომელიც თან ახლავს არაინჰალაციური ან ღრმა ნარკოზის გამოყენებას.
4. ადვილია ჰეპარინის ზუსტი დოზირება, რითიც გამორიცხულია სისხლის შედედება.
5. გამოყენებულია ყველასათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო ინსტრუმენტები.
6. სისხლის შედარებით მცირე რაოდენობით აღებისას (0,2—0,5 მლ) შესაძლებელია ცხოველის განმეორებით გამოყენება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(შემოვიდა 3.7.1992)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

К. Г. ГАМБАШИДЗЕ

МЕТОД ВЗЯТИЯ КРОВИ У ЛАБОРАТОРНЫХ МЫШЕЙ

Резюме

В данной работе представлен новый метод взятия крови с подключечной вены и артерии у лабораторных мышей. По сравнению с известными в литературе методами взятия крови, данный метод технически легко выполняем и дает возможность получить кровь в максимальном количестве. Оригинальным дифференциальным методом исследована осмотическая резистентность эритроцитов в зависимости от метода взятия крови. Установлено, что, по сравнению с методом декапитации, относительное отклонение осмотической резистентности эритроцитов, взятых новым методом, уменьшено в 1,8 раза, что свидетельствует о сравнительном превосходстве этого метода.

EXPERIMENTAL MEDICINE

K. GAMBASHIDZE

A NEW METHOD OF TAKING BLOOD FROM LABORATORY MICE

Summary

New method of taking blood from the subclavian artery and vein of laboratory mice is presented in the given work. It is easily carried out technically and presents an opportunity to get maximum quantity of blood.

Osmotic resistance of erythrocytes was studied by the original differential method depending on method of taking blood. The given results prove the superiority of the new method.



1. И. П. Западнюк, В. И. Западнюк, Е. А. Захария, Б. В. Западнюк. В кн.: Лабораторные животные. Разведение, содержание, использование в эксперименте. Киев, 1987, 285—286.
2. А. М. Чернух, П. И. Александров, О. В. Алексеев. В кн.: Микроциркуляция. М., 1975, II.
3. Г. Н. Карабанов, К. С. Ииченко. Акушерство и гинекология, № 2, 1981, 47—48.
4. И. Ш. Зедгенидзе, О. В. Хулузаури, И. Л. Яковлев. Способ определения резистентности эритроцитов. А. с. СССР, № 1411669.
5. И. Ш. Зедгенидзе, О. В. Хулузаури, И. Л. Яковлев. Сообщения АН ГССР, 132, № 3, 1968, 409—412.



ბ. ჯინფილაშვილი

თამბაქოს მიწრნეობაში მომუშავე ქალთა შვილების განვითარების  
საკითხი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. დვანოსიძემ 15.17.1992)

როგორც ცნობილია, თამბაქო შეიცავს გარკვეულ ტოქსიკურ ნივთიერე-  
ბებს, რომელთა შორის ძლიერი მოქმედებით გამოირჩევა ნიკოტინი.

აღამიანის ორგანიზმზე ნიკოტინის უარყოფითი გავლენა საქართველოში  
ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში შეისწავლებოდა. დადგენილი იყო მისი მტვრის  
უარყოფითი გავლენა თამბაქოს ფაბრიკაში მომუშავეთა კანზე, მხედველობის  
ორგანოზე, კუჭის სეკრეციაზე, ქალის სასქესო სისტემაზე; არტერიულ წნევა-  
ზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და სხვა.

ამ პრობლემებზე მუშაობდნენ გ. კვანჭახაძე, ვ. სააკაძე, რ. თათარაძე  
(1970—1971 წწ.), რომელთა მონაცემებით თამბაქოს მტვრის ხანგრძლივი  
მოქმედება იწვევს მუშათა ავადობის მაჩვენებლების ზრდას, განსაკუთრებით  
ნერვული და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ხარჯზე.

რაც შეეხება მუშათა მომავალ თაობებს, მათ ორგანიზმზე ნიკოტინის გავ-  
ლენის შესახებ შრომები თითქმის არ მოგვეპოვება.

საქართველოში თამბაქოს მეურნეობაში მომუშავე ქალთა შვილების ჯან-  
მრთელობა ექსპედიციური, ერთჯერადი გასინჯვის მეთოდით შესწავლილ იქნა  
აჭარის რეგიონში მ. მჭედლიშვილის, რ. ლულაძის, გ. უმიკაშვილის (1991 წ.)  
მიერ და გამოვლენილ იქნა იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომ ჩვე-  
ნი აზრით, დინამიკური დაკვირვების გარეშე სხვა რეგიონში მათ მიერ მიღე-  
ბული მონაცემების განზოგადება არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიცვლევდით ლაგოდების რაიონში პლან-  
ტაციებსა და საფერმენტაციო ქარხანაში მომუშავე ქალთა შვილების ზრდა-გან-  
ვითარებისა და ჯანმრთელობის მაჩვენებლებს დინამიკაში. აღრიცხვაზე აყვა-  
ნილი იყო მეთამბაქოე ორსულ ქალთა კონტაქტი, რომელთა ბავშვებზე და-  
კვირვება წარმოებდა დაბადებიდან 3 წლამდე. დაკვირვებას ვაწარმოებდით  
ბავშვებზე, რომელთა დედებსაც არ ჰქონდათ კონტაქტი თამბაქოსთან. ბავშვე-  
ბის განვითარების შესწავლა ხდებოდა სპეციალურად შემუშავებული ანკეტა—  
კითხვარით.

შრომის მიზანს წარმოადგენდა დაგეგმვინა, რა გავლენას ახდენს ნაყო-  
ფისა და ბავშვის განვითარებასა და მათ ავადობაზე დედის კონტაქტი თამბა-  
ქოსთან, რა მომენტები თამაშობენ მასში მადლომინირებელ როლს. მიღებული  
მონაცემების დაპირისპირების და მათი ანალიზის შედეგად შევედგეთ შევედგეთ  
პროფილაქტიკური ხასიათის რეკომენდაციებს.

სულ დინამიკურ დაკვირვებაზე იმყოფებოდა 266 (ორასსამოცდაექვსი)  
ბავშვი, აქედან 150 ბავშვის დედა მუშაობდა თამბაქოს პლანტაციებში, 16—  
საფერმენტო ქარხანაში, 100 ბავშვის დედას თამბაქოსთან კონტაქტი არ ჰქონია.





ნიკოტინი აზიანებს აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა სისტემას (მ. შანჭყელიძე, გ. კვანჭახაძე, 1966; ვ. სააკაძე, 1972; S. Konturek, et al 1971 წ.). თამბაქოს წარმოებაში მუშათა რიცხვი ჰიპერტონიული დაავადებით 1,5—2,5-ჯერ მეტია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (ა. მახლია, 1963, ა. ჩანდირლი, 1970). ისეთი დაავადებები, როგორცაა კორონალური უკმარისობა, მიოკარდიუმის დისტროფია, სტენოკარდია და სხვა, გვხვდება 17—18% შემთხვევაში.

საქართველოში თამბაქოს მეურნეობაში მომუშავე ქალთა შვილების ჯანმრთელობა ექსპედიციური, ერთჯერადი გასინჯვის მეთოდით შესწავლილ იქნა აჭარის რეგიონში მ. მჭედლიშვილის, რ. ლულაძის, გ. უმიკაშვილის (1991 წ.) მიერ და გამოვლინებულ იქნა იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომ ჩვენი აზრით, დინამიკური დაკვირვების გარეშე სხვა რეგიონში მათ მიერ მიღებული მონაცემების განზოგადება არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. მით უფრო, რომ როგორც ნიკოტინის უარყოფითი გავლენა ნაყოფისა და ბავშვის განვითარებაზე, ისე საერთოდ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ავადობა დიდად არის დამოკიდებული სოციალურ საყოფაცხოვრებო პირობებზე, რომ არაფერი ვთქვათ სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების მდგომარეობაზე. ყოველივე ამის გამო, შემდგომი ურთიერთმაკონტროლებელი გამოკვლევების ჩატარება აუცილებელია.

### ცხრილი 1

ორსულობისა და მშობიარობის მიმდინარეობა და გამოსავალი თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე ქალთა შორის

	ორსულ ქალთა ტოქსიკოზი	გართულებული მშობიარობა	თვითნებური აბორტი	მკვდარ მშობიარობა
პლანტაციებში მომუშავე ქალთა 150	21	32	3	1
საკონტროლო ჯგუფი 100	14%	21,3%	2%	0,7%
	5	11		
	5,0%	11%		

როგორც ცხრილიდან ჩანს (1), ქალებში, რომლებიც თამბაქოს პლანტაციებში მუშაობენ (I ჯგუფი), ორჯერ და უფრო ხშირად აღინიშნებოდა ორსულობის ტოქსიკოზი (14% კონტროლი 5%) და მშობიარობაც ასევე უფრო ხშირად (21,3%-ში) გართულებით მიმდინარეობდა (კონტრ. 11%) იმ ქალებთან შედარებით, რომელთაც არ ჰქონდათ კონტაქტი თამბაქოსთან (III ჯგუფი). პირველ ჯგუფში ორსულობა დამთავრდა თვითნებური აბორტით (2%), მკვდარადშობადობა — (0,7%), მაშინ როდესაც საკონტროლო ჯგუფში ასეთი პათოლოგიის ადგილი არ ჰქონია.

საფერმენტაციო ქარხანაში მომუშავე ქალთა შორის (II ჯგუფი) ყურადღებას იპყრობს ორსულთა ტოქსიკოზების მაღალი მაჩვენებელი და გართულებული მშობიარობა (12,2%). აბორტისა და მკვდარშობადობის შემთხვევებს კი ადგილი არ ჰქონია.

უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება მივიღეთ ბავშვთა განვითარების მაჩვენებლების შედარებისას (ცხრილი 2).

თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე ქალთა ბავშვებში ორჯერ უფრო ხშირად იყო დღენაკლული (4% — კონტ. 2%), განვითარების მანკის მქონე (2% კონტრ. 1%), ასფიქსიითა და სამშობიარო ტრავმით დაზარალებული ბავშვები (14,7% — კონტრ. 4%).



უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ აღნიშნული პათოლოგია იყო სიკვდილმსობის პირველი წლის აღნიშნულ კონტრენტში სიკვდილიანობის მიზეზი და 27%, რაც რეგიონალურ და საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებელს თითქმის ორჯერ აღემატება. თუ ამას დაემატებთ ხშირად მოავადეთა დიდ პროცენტს და იმ მაჩვენებელს, რომ პირველ წელს ფსიქომოტორულ განვითარებაში ჩამორჩებოდა ბავშვების 21,3% (კონტროლი 2%) სრული საფუძველი გვაქვს დაეასკვნათ, რომ თამბაქოს პლანტაციაში მუშაობა უდაოდ ახდენს უარყოფით გავლენას ბავშვის განვითარებაზე, მათ ავადობასა და სიკვდილიანობაზე.

ცხრილი 2

თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე ქალთა შვილების განვითარების ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები

	დღენაკლულობა	განვითარების მარცხი	ასეთქსია სამშ. ტრავმა	სიკვდილიანობა	ხშირად მოავადე	ფსიქომოტორული განვითარება ჩამორჩენა
პლანტაციაში მომუშავე მომუშავე ქალთა შვილების 150	6 (4%)	3 (2%)	32 (14,7%)	4 (2,7%)	63 (42,1%)	32 (21,3%)
საკონტროლო ჯგუფი 100	2 (2%)	1 (1%)	4 (4%)		4 (4%)	2 (2%)


თამბაქოს საფერმენტო ქარხანაში მომუშავე ქალთა შვილებს, საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებით აღენიშნებოდა მხოლოდ დღენაკლულობის მაღალი მაჩვენებელი (სურ. 1), რომელიც პლანტაციაში მომუშავე ქალთა შვილების მაჩვენებელსაც აღემატებოდა (4% პლანტ. მომუშავე. —6,2% საფერმენტ. ქარ.) რაც შეეხება ფსიქომოტორულ განვითარებაში ჩამორჩენას, პლანტაციაში მომუშავე ქალთა შვილებში ასეთი ბავშვების რაოდენობა შეადგენდა 21,3%, საფერმენტაციო ქარხნის ბავშვებში —6,2% (საკონტროლო ჯგუფში 2,0%).

მიღებული შედეგების თანახმად შეიძლება აღინიშნოს, რომ ქალების ერთი მესამედი პლანტაციაში მუშაობდა ორსულობის როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარში (33,3%). თითქმის იმდენივე ქალი — მხოლოდ I ნახევარში (37,4%), II ნახევარში მუშაობდა 19,3%. არ მუშაობდა 10%. ანალიზით ირკვევა, რომ, განსაკუთრებით ხშირია უარყოფითი ზემოქმედება მაშინ, როდესაც ქალი პლანტაციაში მუშაობას განაგრძობს ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ასეთ ქალებზე მოდის თითქმის ყველა სახის პათოლოგია და მათ შორის მკვდრადშობადობის, თვითნებური აბორტის, დღენაკლულობის, განვითარების მანკის და ბავშვთა სიკვდილიანობის ყველა შემთხვევა (ცხრ. 3). ორსულთა ტოქსიკოზი ამ ქალებში ექვსჯერ უფრო ხშირია, ვიდრე იმ ქალებში, რომლებიც ორსულობის დროს პლანტაციაში მუშაობდნენ ხანმოკლე პერიოდში ან არ მუშაობდნენ საერთოდ. ასევე ხუთჯერ უფრო ხშირია გართულებული მშობიარობა, ბავშვების ასეთქსია, სამშობიარო ტრავმა, ორნახევარჯერ მაღალია სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში ხშირად მოავადე ბავშვთა ხედრითი წონა და ოთხჯერ ხშირია ფსიქომოტორულ განვითარებაში ჩამორჩენა (ცხრ. 3).



ამდენად დადგენილ იქნა, რომ ყველა იმ ფაქტორს, რომლებიც ორსულობამდე და ორსულობის პერიოდში ქალზე მოქმედებს, შეუძლია გარკვეული გავლენა მოახდინოს ორსულობის მიმდინარეობასა და ნაყოფის ზრდა-განვითარებაზე.

პლანტაციაში და საფერმენტო ფაბრიკაში მომუშავე ქალთა ორსულობის და მშობიარობის მიმდინარეობის, მათი ბავშვების ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები.



ცხრილი 3

თაბაკის პლანტაციაში მომუშავე ქალთა ორსულობისა და მშობიარობის მიმდინარეობა და მათი ბავშვების განმრთვლობისა და განვითარების მაჩვენებლები

პლანტაციაში მუშაობის ხანგრძლივობა ორსულობის პერიოდში	ორსულობის გართულება (ტოქსიკოზები)	მშობიარობის გართულება	მკვდარად შობილობა	თვითნებური აბორტი	ასფექტისა სამშობიარო ტრავმა	დღენაკვლელობა	განვითარების თანდაყოლილი მანკი	სიკვდილიანობა	ზშირი ავადობა (მკურ და მტყერ)	ფსიქომორტორულ განვითარებაში ჩაბორჩება
I-II ნახევარში 50-33,3%	16 32,0%	24 48,0%	1 2,0%	3 6,0%	15 30,0%	6 12,0%	3 6,0%	4 8,0%	37 74,0%	21 48,0%
I ნახევარში 56-37,4%	4 7,1%	5 8,9%			6 10,7%				22 39,03%	8 14,3%
II ნახევარში 29-19,3%	1 3,4%	2 6,9%			1 3,4%				2 6,9%	2 6,9%
ორსულობის დროს მუშაობა 15-10%		1 6,7%							2 13,3%	1 6,7%
სულ 150-100%	21 14%	32 21,3%	1 0,7%	3 2,0%	22 14,7%	6 4,0%	3 2,0%	4 27%	63 42,0%	32 21,3%



ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ყველაზე დადასტურებულად აღიქვა პლანტაციაში მუშაობის სამი წლის და მეტი მქონე ქალთა შვილებში (ცხრ. 4).

ცხრილი 4

თამბაქოს პლანტაციაში მომუშავე ქალთა ბავშვების განვითარების მაჩვენებლები

სტაია	მკვდარად შობილი	თვითნაყოფი ამორტი	დღენაკლებობა	განვითარების მანკი	ასფიქცია	გარდაცვლილი	ხშირად მიაკვლევ	განვითარებაში ჩამორჩენა
1—3 წ. 41			1 2,4		5 12,2		12 23,2	5 12,2
3 და მეტი წ. 109	1 0,9	3 2,7	5 4,6	3 2,7	17 15,6	4 3,6	51 46,7	27 24,7

როგორც მეოთხე ცხრილიდან ჩანს, 3 წლამდე სტაეის მქონე ქალთა შვილებს შორის ადგილი ჰქონდა დღენაკლებობას, ასფიქსიას, ხშირად ავადობას და ფსიქომოტორულ განვითარებაში ჩამორჩენას, იმ დროს, როდესაც სამი წლის და მეტი სტაეის მქონე მომუშავე ქალებში პირველ პლანზე მოდიოდა მკვდრადშობადობა (0,9%-ში), განვითარების მანკები (2,7%), ბავშვთა სიკვდილიანობა (3,6%-ში) და სხვა.

ამ შემთხვევაში თითქმის ორჯერ უფრო მცირე იყო დღენაკლებული ბავშვის დაბადება (2,4%—4,6%), მაგრამ ხშირი ავადობა შეადგენდა მნიშვნელოვან მაჩვენებელს, ადგილი ჰქონდა განვითარებაში ჩამორჩენას (12,2%—15,6%). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ოთხი გარდაცვლილი ბავშვიდან, სამ შემთხვევაში დედის პლანტაციაში მუშაობის სტაეი აღემატებოდა რვა წელს. ასეთი სულ იყო ათი ქალი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იმ ბავშვებში, რომელთა დედებიც თამბაქოს პლანტაციებში მუშაობდნენ, ხშირი ავადობის მაჩვენებელი შეადგენდა 42,1%. საფერმენტო ქარხანაში მომუშავე დედების ბავშვებში — 25%-ს, საკონტროლო ჯგუფის ბავშვებში კი ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდა 4%-ს. სიცოცხლის პირველ წელს ხშირი ავადობის გარდა, რომლებიც ძირითადად მწვავე რესპირაციული დაავადების ხარჯზე მოდიოდა, ყურადღებას იპყრობდა მეტ-ნაკლებად გამოხატული ცვლილებები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ: პოსტნიპოქსიური ენცეპათოლოპათიის, ეპილეფსიისა და განმეორებითი კრუნჩხვითი სინდრომის სახით. ასეთი მდგომარეობა ძირითადად გამოვლინდა 23,3%-ში, რაც სამჯერ აღემატებოდა საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებს (8,0%).

ბრონქიტი აღნიშნებოდა ბავშვების 13,3%-ს (20 ბავშვი); პნევმონია 6,7% (10 ბავშვი). ნაწლავთა ინფექციები 8,7% (13 ბავშვი). სეფსისი — 2,7% (4 ბავშვი). ალერგიული გამოვლინებები 8,7% (13 ავადმყოფი).

სიცოცხლის პირველ წელს საერთოდ არ გამხდარა ავად 11 ბავშვი (7,3%), ძირითადად ბავშვები, რომელთა დედებიც არ მუშაობდნენ ორსულობის დროს

საერთოდ და რომელთა მუშაობის სტაჯი არ აღემატებოდა სამ და ხუთ წელს (ცხრილი 5).

ქართული  
საბავშვო

ცხრილი 5

	ცხოვლები 0-5 წ. მხოვე	ბრაინჯიტი	პნემონია	ნაწლავთა ინფექცია	ალერგიული დაავადება	სეფსისი	არტერიული გაზრდა ავად
სულ n=150	35 23,3	20 13,3	10 6,7	18 8,7	13 8,7	4 2,7	11 7,7
დღეა მუშაობდა ორსულობის ორივე ნახევარში n=50	22 44	9 18	7 14	4 8	6 12	—	1 2
მხოლოდ I ნახევარში n=56	8 14,3	9 16,1	2 3,6	7 12,5	2 3,6	4 7,2	3 5,4
მხოლოდ II ნახევარში არ მუშაობდა n=34	5 14,7	2 5,9	1 2,9	2 5,9	1 2,9	—	7 20,6
მუშაობის ხანდაზმულობა 3 წელი n=41	8 19,5	2 4,9	1 2,4	1 2,4	3 7,3	2 4,9	6 14,6
3—5 წელი n=40	8 20	7 17,5	4 10	4 10	1 2,5	2 5	3 7,5
5 და მეტი წელი n=69	19 27,5	11 15,9	5 7,2	8 11,6	9 13	—	2 2,9
საკონტროლო ჯგუფი n=60	8 8	3 3	1 1	1 1	3 3	3 3	68 68

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თამბაქოს პლანტაციის მომუშავე ქალთა შვილები თავისი ზოგადი განვითარებით, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თამბაქოსთან კონტაქტის გარეშე მყოფი ქალთა შვილებისაგან, რაც განხილულ უნდა იქნეს როგორც პერინატალურ პერიოდში ნიკოტინითა და თამბაქოს მტერის სხვა კომპონენტებით მავნე ზემოქმედების შედეგი.

ნაყოფზე მავნე ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება ხასიათდება გარკვეული სინდრომებით, როგორცაა ახალშობილობის პერიოდში დამახასიათებელი: დღენაკულობა, სხეულის მცირე მასა, ნაყოფისა და ახალშობილის ასფიქსია, სამშობიარო ტრავმა, რაც დარღვეული ფიზიოლოგიური მდგომარეობის გამო მისი ადვილად ტრავმირებით უნდა აიხსნას.

სიცოცხლის პირველ წელს ნიკოტინის მავნე ზემოქმედების სინდრომს ემატება სხეულის მასის შენელებული მატება და ფსიქო-მოტორულ განვითარებაში ჩამორჩენა, კბილების დაგვიანებითი ამოჭრა, მაღალი ავადობა და მიდრეკილება ხშირი ავადობისაკენ, რაც ძირითადად განაპირობებს მათ მაღალ სიკვდილიანობას.

აღსანიშნავია ის, რომ საფერმენტაციო ქარხანაში მომუშავე ქალებს შორის განსაკუთრებით ხშირი იყო ორსულთა ტოქსიკოზები.

ბავშვთა პათოლოგია იმ ქალთა შვილებში, რომლებიც მუშაობდნენ თამბაქოს პლანტაციებში, ჩამოყალიბებული იყო ძირითადად დღენაკულობის,



განვითარების მანკის, ასფიქსიის, სიკვდილობის სახით, რაც სიხშირით ხარისხით დამოკიდებული იყო დედის მუშაობის სტაჟისა და ორსულ პერიოდით თამბაქოს მტვერთან კონტაქტში.

ანალოგიური კანონზომიერება აღინიშნებოდა ბავშვებში, რომელთა დედები საფერმენტაციო ქარხანაში მუშაობდნენ.

რაც შეეხება ორსულობის პერიოდის მნიშვნელობას უდათა, რომ დედები, რომლებიც მუშაობდნენ ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მათი შვილები მძიმე და მრავალმხრივი პათოლოგიით გამოირჩეოდნენ, რაც შეეხება მხოლოდ I პერიოდში მომუშავე ქალთა შვილებს, მათში პათოლოგია მკვეთრად განსხვავდება და მძიმეა, იმ ბავშვთა განვითარების მოშლასთან შედარებით, რომელთა დედები მუშაობდნენ მხოლოდ ორსულობის II პერიოდში. აღნიშნული პათოლოგიისაგან განსხვავებით საფერმენტაციო ქარხნის მუშა ქალთა შვილების და განსაკუთრებით საკონტროლო ჯგუფის ბავშვების განვითარება ნაკლებადაა დარღვეული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამბაქოს მტვერთან კონტაქტში მყოფი ქალების შვილებში განვითარებული პათოლოგია პირდაპირ კავშირშია თამბაქოს მტვერთან მშობლების კონტაქტის ექსპოზიციასთან, ორსულობის ხანგრძლივობასთან, ტექნოლოგიურ პროცესებთან და ბავშვთა ასაკთან. რაც უფრო ხანგრძლივია დედების ორსულობის პერიოდი თამბაქოს მტვერთან კონტაქტის მხრივ, მათი საერთო მუშაობის სტაჟი თამბაქოს გადამამუშავების ციკლის თავისებურება და ნაკლებია ბავშვთა ასაკი, მით მეტია ისეთი დაავადების სიხშირე, როგორიცაა პოსტპიოქსიური ენცეფალოპათია, ეპილეფსია და განმეორებითი კრუნჩხვის სინდრომი, ბრონქიტი, პნევმონია, ნაწლავთა ინფექციები, სეფსისი და სხვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ორსულობის პერიოდში მომუშავე ქალთა ორგანიზმზე თამბაქოს ფაქტორები გამოუხსწორებელ მანერ ზეგავლენას ახდენს მომავალ თაობებზე. რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია აიკრძალოს ორსულ ქალთა მუშაობა, როგორც თამბაქოს პლანტაციებში, ისე საფერმენტაციო ქარხანაში ორსულობის პირველივე დღიდანვე და გარკვეულად შეზღუდულ იქნეს ქალთა შრომის გამოყენება თამბაქოს მრეწველობაში მათი რეპროდუქციის პერიოდში.

ამრიგად, თამბაქოს პლანტაციებსა და ქარხნებში მომუშავე ქალთა შრომა რადიკალურ მოწესრიგებას მოითხოვს, რაც ჯანმრთელი მომავალი თაობის დაბადების საწინდარია.

შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ

დაავადებათა ინსტიტუტი

(შემოვიდა 17.7.1992)

**ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА**

Э. К. ДЖИНЧВЕЛАШВИЛИ

**ОБЩЕЕ РАЗВИТИЕ ДЕТЕЙ ЛИЦ, РАБОТАЮЩИХ НА ТАБАЧНЫХ ПРОИЗВОДСТВАХ**

Резюме

Контакт женщины с табачной пылью способствует нарушению общего развития их детей. Чем больше продолжительность контакта беременных женщин с компонентами табака, их общий стаж работы, особенно „მოამბე“, ტ. 148, № 2, 1993



бенности переработки табачной продукции и меньше возраст, тем чаще развиваются у них такие заболевания, как постгипотоксическая энцефалопатия, эпилепсия, синдром повторных судорог, бронхиты, пневмония, кишечные инфекции, сепсис и др.

Примечательно то, что подавление общего развития (замедление наращивания массы тела, вырез зубов, психомоторное развитие) часто проявляется у детей, матери которых имели контакт с табачной пылью за весь период беременности.

Вышеизложенное указывает на то, что табачная пыль оказывает непоправимо вредное влияние на будущее поколение, что служит основой для запрещения труда беременных женщины на табачном производстве с момента установления беременности.

#### EXPERIMENTAL MEDICINE

E. JINCHVELASHVILI

### COMMON DEVELOPMENT IN THE CHILDREN OF TOBACCO PRODUCTION WORKERS

#### Summary

Women's contact with tobacco dust promotes disturbance of common development in their children. The longer the duration of the contact of pregnant women with tobacco components, length of service, peculiarities of tobacco production, the less is the children's age. Such diseases as posthypotoxic encephalopathy, epilepsy, syndrome of repeated cramps, bronchitis, pneumonia, intestinal infections, sepsis, etc. develop more frequently.

It must be noted that children's common development supression such as slowing down the body mass grafting, dental eruption, psychomotor development, are often revealed among children whose mothers have been in contact with tobacco dust during the whole period of pregnancy.

The above mentioned points to the fact that tobacco dust makes extremely harmful influence on the future generation, this is the base for forbidding pregnant women to work in tobacco industry from the very moment of the beginning of pregnancy.

#### ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. გ. კვანჭახაძე. სალოქტრო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 1969.
2. ვ. სააკაძე. სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 1972, გვ. 45.



ბ. ზინვარაძე, ი. ფავლინოვილი

კლინიკა და ჰიპოფიზ-თირკმირული სისტემის ფუნქციური მდგომარეობა ცენტრალური ნერვული სისტემის ტრავმულ-ჰიპოქსიური დაზიანების ფონზე მიმდინარე ბრუნვა-რეპროდუქციული ბაქტერიებით გამოწვეული სეფსისისა და სეფსისური შოკის ახალშობილებში

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ბახტაშვილმა 5.5.1992)

ახალშობილობის პერიოდის ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში ჯერ კიდევ მაღალია სეფსისის ხვედრითი წონა. მკურნალობისა და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდთა მიღწევების მიუხედავად, მაინც შეინიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის ტრავმულ-ჰიპოქსიური დაზიანების ფონზე განვითარებული გრამუარყოფითი ბაქტერიებით გამოწვეული სეფსისისა და სეფსისური შოკის გახშირებისაკენ ტენდენცია [1, 2]. სეფსისურ პროცესებზე ორგანიზმის საპასუხო ადაპტაციურ-კომპენსაციური რეაქციების წარმოქმნაში ენდოკრინული სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამასთან, Pierpaoli-ის ნეიროენდოკრინული თეორიის თანახმად, დადგენილია იმუნოგენეზის ენდოკრინული რეგულაციის შესაძლებლობა [3,4].

ჩვენნი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 70 ახალშობილი, ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური მძიმე და საშუალო სიმძიმის დაზიანებათა ფონზე ბაქტერიოლოგიურად დადასტურებული გრამუარყოფითი ბაქტერიებით (*Enterobacter aerogenes*—25, *Klebsiella pneumoniae*—13, *Serratia marcescens*—10, *Pseudomonas aeruginosa*—12, *Enterobacter cloacae*—3, *Escherichia coli*—5, *Proteus mirabilis*—2) გამოწვეული სეფსისით. სეპტიცემია ჰქონდა 42 ავადმყოფს, სეპტიკოპოემია —28 ავადმყოფს (წამყვან პიემიურ კერებს წარმოადგენდა: ჩირქოვანი მენინგიტი, ვენტრიკულიტი, ფილტვის აბსცედირებული ანთება, დესტრუქციული პნევმონია, ოსტეომიელიტი, პიელონეფრიტი და სხვ.). კერძოდ, სისხლის შრატში რადიოიმუნოლოგიური მეთოდით შვეისწავლეთ თიროქსინის, ტრიოდთირონინის, თირეოტროპინისა და თირეოშემავიზირებელი გლობულინის კონცენტრაცია, საკონტროლო ჯგუფი შეადგინა შესაბამისი ასაკის 15 პრაქტიკულად ჯანმრთელმა ბავშვმა.

I ჯგუფში გავერთიანეთ 40 ავადმყოფი სეფსისით, რომელთა უმეტესობას აღენიშნებოდა ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური საშუალო სიმძიმის დაზიანება. ანამნეზური მონაცემებით, ეს ახალშობილები მუცლადყოფნის პერიოდში იმყოფებოდნენ ქრონიკული ჰიპოქსიის პირობებში დედის სხვადასხვა დაავადების, პათოლოგიურად მიმდინარე ორსულობისა და მშობიარობის გამო. ავადმყოფ ბავშვთა უმეტესობა კლინიკაში მოთავსდა პირდაპირ სამშობიარო სახლიდან. ყველა ახალშობილი დაიბადა დროული, წონით 2700-დან 4000 გ-მდე, საშუალო სიმძიმის ასფიქსიაში, რაც გრძელდებოდა 5--7 წუთით. აპგარის სკალის მიხედვით 29 ავადმყოფის მდგომარეობა შეფასდა 4 ქულით, 11-ის — 5 ქულით. კლინიკური სურათი წარმოდგენილი იყო შემთავი ნეიროლოგიურ-





სინდრომებით: აგზნების სინდრომი ჰქონდა 8 ავადმყოფს, ზოგადი მენტალური დეპრესიის სინდრომი — 4, კრუნჩხვითი სინდრომი — 10, ჰიპერტენზიული-აღიზიანებული სინდრომი — 6 ავადმყოფს.

ნეიროსონოსკოპიური გამოკვლევით გამოხატული იყო დიფუზური მწკავე და ქრონიკული ჰიპოქსიის სურათი. სხვადასხვა ხარისხის პარკუჭშიგა სისხლის ჩაქცევა დაუდგინდა 6 ავადმყოფს, პარკუჭის ზომების შეცვლის გარეშე და შეცვლით; სუბარაქნოიდული სისხლის ჩაქცევა — 3 ავადმყოფს.

კლინიკაში მოთავსებისას ყველა ახალშობილის საერთო მდგომარეობა იყო მძიმე. 28 ავადმყოფს ჰქონდა ჰიპოტონია, დაყვნებული რეაქცია გარეგან გამოიზიანებულზე, კუნთთა ჰიპოტონია, აქტიურ მოძრაობათა სიღარიბე. 12 ახალშობილს — ზოგადი აგზნება, მეორეული ასფიქსიის შეტევა, 6 ახალშობილს — მტევენის პარეზი, 3-ს ჰემიპარეზი, 5-ს კიდურთა სპაზმური დამბლა, 3-ს ხელის მტევენები ჰქონდა გაშლილი. 18 ავადმყოფს აღენიშნებოდა სუსტი, მოკლევნიანი, არაემოციური ტირილი, 8-ს პერიოდულად წამოკვივლებანი, 4-ს შემაწებელი ტირილი, 10-ს ტირილი საშუალო სიძლიერის ხმით. სახის გამომეტყველება უმრავლესობას ჰქონდა შეწუხებული, რაც ძლიერდებოდა მოძრაობისას, 7-ს თავის პოზა ჰქონდა იძულებითი.

თვალის მამოძრავებელი სიმპტომებიდან — 11-ს ჰქონდა ჰორიზონტალური ნისტაგმი, 5-ს ვერტიკალური ნისტაგმი, 2-ს სიელმე, 8-ს „ჩამავალი მზის“ სიმპტომი, 4-ს „მცურავი მზერა“.

თვალის ფსკერზე 24 ავადმყოფს გამოუვლინდა ვენური ქსელის გაფართოება, 6-ს ბადურაზე წერტილოვანი სისხლის ჩაქცევა. თავის ქალას რენტგენოგრაფიით — ინტრაკრანიალური ჰიპერტენზიის ნიშნები.

კანის ფერი 9 ავადმყოფს ჰქონდა მკრთალი, ცხვირ-ტუჩის არეში მკვეთრად ციანოზური, 6-ს მორუხო-მიწისფერი, 5-ს ცვილისებრი შეფერვის, 5-ს კანისა და ხილული ღორწოვანი გარსების ყვითელი შეფერვა, რაც დინამიკაში პროგრესირდებოდა. 12 ავადმყოფს გამოუვლინდა კანის საფარველის მარმარილოსებრი სიჭრელე, შეხებით კი კანი იყო ცივი. 8-ს ჰქონდა დიფუზური ციანოზი. 7 ავადმყოფს გამოუვლინდა კანისა და კანქვეშა ქსოვილის, კერძოდ, ცხვირის, ყურის ნივარების, თითების ფალანგებისა და თითის წვერების ნეკროზი. 10 ავადმყოფს ჰქონდა ქსოვილთა პასტოზურობა, გარდამავალი შეშუპება (მუცლის ქვედა ნაწილში, სასქესო ორგანოებსა და ბარძაყის ზედა მესამედში) და სკლერემა. 5 ავადმყოფს მუცლის წინა კედელზე ხილული კანქვეშა ვენური ქსელის სურათი ჰქონდა გამოხატული. ტურგორი 16 ავადმყოფს ჰქონდა დაქვეითებული, 14-ს კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი საშუალოდ განვითარებული, კიდურები უმრავლესობას ჰქონდა ცივი, სეფსისი მიმდინარეობდა სუბნორმალური ან ნორმალური ტემპერატურით.

27 ავადმყოფს გამოუვლინდა წონაში მატების შეჩერება და მისი შემდგომი დაკლება. არცთუ იშვიათად სხეულის წონის მრუდი ინტოქსიკაციის სიმძიმის ამსახველი იყო და წონაში დაკლება დაავადების სიმძიმის პარალელურად მიმდინარეობდა. ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნებოდა მზარდი ტოქსიკოზი.

ყველა ავადმყოფს აღენიშნებოდა გულის მუშაობის დარღვევა: 22 ავადმყოფს ჰქონდა ტაქიკარდია, სუსტი აესებისა და დაჭიმულობის პულსი, ზოგჯერ კი ძაფისებრი; 8 ავადმყოფს საშუალო აესებისა და დაჭიმულობის. 10-ს ჰქონდა სინუსური ბრადიკარდია და არითმია. გულის ტონები ყველას ჰქონდა მოყრუებული განსაკუთრებით კი 1 ტონი. ოთხ ავადმყოფს განუვითარდა მიოკარდიტი.



ავადმყოფებს გამოუვლინდათ სასუნთქი სისტემის უკმარისობის სიმპტომები; ავადმყოფთა უმრავლესობას (20) ჰქონდა ზედაპირული სუნთქვა, განსაკუთრებით. 14-ს ტაქიპნოე, სუნთქვაში დამხმარე კუნთების მონაწილეობით. ხშირად პულსსა და სუნთქვის სიხშირეს შორის შეფარდების დარღვევა (10); 12-ს ჰქონდა არიტმიული სუნთქვა, 26-ს ფილტვებში მკვრივი ან შესუსტებული სუნთქვის ფონზე ნორმალური ხიხინი, 7-ს წერილბუშტუკოვანი სველი ხიხინი, კრეპიტაცია.

საკმლის მომწელებული სისტემის მხრივ 7 ავადმყოფს გამოუვლინდა დისპნეისური მოვლენები: წამოკაფება, ღებინება, ანორექსია, ნაწლავთა მოქმედების გახშირება თხიერი კონსისტენციის, ლორწოს შემცველი განავლით. 9-ს მუცელი ჰქონდა შებერილი, 18-ს გამოუვლინდა დეკომპენსირებული დისბაქტერიოზი. 5 ავადმყოფს განუვითარდა წყლულოვან-ნეკროზული ენტეროკოლიტი. ჰეპატოსპლენომეგალია აღენიშნებოდა 29 ავადმყოფს: ღვიძლი სცილდებოდა ნეკნთა რკალს მედიოკლავიკულურ ხაზზე 3-დან 4 სმ-მდე, ელენთა — 1,5-დან 3 სმ-მდე. 3 ავადმყოფს განუვითარდა სეფსისური ჰეპატიტი საშარდე სისტემის მხრივ ცვლილებები გამოვლინდა როგორც ჰემოდინამიკის, ისე თირკმლის ფუნქციის დარღვევით.

სეფსისის მწვავე პერიოდში ახალშობილთა პორმონული პროფილი ხასიათდებოდა ფარისებრი ჭირკვლის ჰიპოფუნქციით: თირკმლის, ტრიოდითრონიისა და თირეოშემაკავშირებელი გლობულინის კონცენტრაცია სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო შემცირებული ნორმასთან შედარებით, რასაც თანახლდა თირეოტროპინის კონცენტრაციის მომატება, რაც შეიძლება შევადაროთ, როგორც ჰიპოფიზის კომპენსაციური რეაქცია თირეოიდული პორმონების შემცირების საპასუხოდ (იხ. ცხრილი).

დაავადების დინამიკაში, გაჯანსაღების ფაზაში, ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ფარისებრი ჭირკვლის ფუნქცია ნორმალიზდებოდა — სტატისტიკურად სარწმუნოდ მატულობდა თირკმლის, ტრიოდითრონიის, თირეოშემაკავშირებელი გლობულინის კონცენტრაცია მწვავე პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, მაგრამ მაინც ვერ აღწევდა ნორმის მაჩვენებლებს. თირეოტროპინის კონცენტრაცია კი მცირდებოდა და ჩამორჩებოდა როგორც მწვავე პერიოდის, ისე ნორმის მაჩვენებლებს, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ჰიპოფიზი გაცილებით მგრძობიარეა ბაქტერიული ინფექციისა და ინტოქსიკაციისადმი.

გრანულოციტოზი სეფსისის ერთ-ერთ ხშირ გართულებას წარმოადგენს სეფსისური შოკი. სწორედ ამის გამო გამოყავით II ჯგუფი, რომელშიც გავაერთიანეთ 30 ავადმყოფი სეფსისური შოკის კლინიკურ-პემოდინამიკური სურათით, რომელიც ძირითადად განვითარდა ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური მძიმე დაზიანების ფონზე. 12 შემთხვევაში აღინიშნა ლეტალური გამოსავალი.

ანამნეზური მონაცემებით ახალშობილთა უმეტესობა ჯუცლადყოფნის პერიოდში იმყოფებოდა ქრონიკული ჰიპოქსიის პირობებში დედის სხვადასხვა დაავადების, პათოლოგიურად მიმდინარე ორსულობისა და მშობიარობის გამო და დაიბადა დროული, წონით — 2700-დან 400 გ-მდე, ღრმა ასფიქსიაში, რაც ვრცელდებოდა 7-დან 10 წუთამდე. აბჯარის სკალის მიხედვით 12 ავადმყოფის მდგომარეობა შეფასდა 3 ქულით, 8-ის — 2 ქულით, 4-ის — 1 ქულით, 6-ის — 0 ქულით. ყველა ახალშობილი კლინიკაში მოთავსდა პირდაპირ სამშობიარო სახლიდან. კლინიკური სურათი წარმოდგენილი იყო შემდეგი ნევროლოგიური სინდრომებით: კრუნჩხვითი სინდრომი ჰქონდა 8 ავადმყოფს, ზოგადი კონტრეზის სინდრომი — 8, აგზნების სინდრომი — 3, ჰიპერტენზიულ-ჰიდროცეფალური სინდრომი — 1, კომური სინდრომი 7 ავადმყოფს.



ფარისებრი ჭირკვლისა და ჰაზოვას ჰოპონთა კონცენტრაცია სისხლის შრატში ტრავმულ-ჰიპოქსურა საშუალო და მძიმე დაზიანების ფონზე მიმდინარე სეფსისა და სეფსისური შოკის დროს ახალშობილებში

დაავადება	სტატისტიკური მაჩვენებელი	თიროქსინი ნგ/მლ	ტრილილი-რონიზი ნგ/მლ	თირეო-ტროპინი მარტ/ლ	თირეოშემაკავებელი გლობულინი ნგ/მლ	
სეფსისა	მწვავე პერიოდი n=40	$M \pm m$ $P_1$	$76,21 \pm 4,21$ <0,001	$0,82 \pm 0,02$ <0,001	$6,89 \pm 0,47$ <0,001	$18,17 \pm 0,21$ <0,001
	გამოჯან-მრთელება n=40	$M \pm m$ $P_1$ $P_2$	$108,51 \pm 6,35$ <0,01 <0,001	$1,16 \pm 0,08$ <0,001 <0,001	$1,59 \pm 0,26$ <0,01 <0,001	$20,16 \pm 0,15$ <0,001 <0,001
სეფსისური შოკი მწვავე პერიოდი n=30	$M \pm m$ $P_1$ $P_4$	$62,01 \pm 3,11$ <0,001 <0,05	$0,61 \pm 0,07$ <0,001 <0,01	$3,18 \pm 0,32$ >0,05 <0,001	$14,19 \pm 0,14$ <0,001 <0,001	
	ენს-ის საშუალო სიმძიმის ტრავმულ-ჰიპოქსურა დაზიანება n=19	$M \pm m$ $P_1$ $P_3$	$100,71 \pm 4,52$ <0,001 <0,01	$1,21 \pm 0,11$ <0,001 <0,001	$2,21 \pm 0,15$ <0,01 <0,001	$22,44 \pm 0,17$ <0,001 <0,001
ენს-ის ტრავმულ-ჰიპოქსურა მძიმე დაზიანება n=31	$M \pm m$ $P_1$ $P_5$	$89,22 \pm 3,11$ <0,001 <0,001	$0,97 \pm 0,05$ <0,001 <0,001	$1,55 \pm 0,13$ <0,001 <0,001	$20,21 \pm 0,11$ <0,001 <0,001	
	საკონტროლო ჯგ-ი n=15	$M \pm m$	$138,32 \pm 5,25$	$2,27 \pm 0,18$	$3,18 \pm 0,32$	$26,51 \pm 0,45$

n — გამოკვლეულთა რიცხვი

$P_1$  — სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა საკონტროლო ჯგ-თან შედარებით

$P_2$  — სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ენს-ის საშუალო სიმძიმის დაზიანების ფონზე მიმდინარე სეფსის დროს მწვავე და გამოჯანმრთელების შემდეგ პერიოდებს შორის

$P_3$  — სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ენს-ის საშუალო სიმძიმის დაზიანებას ფონზე მიმდინარე სეფსისა და სეფსისური ენს-ის საშუალო სიმძიმის დაზიანებას შორის.

$P_4$  — სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ენს-ის მძიმე დაზიანების ფონზე მიმდინარე სეფსისური შოკი და ენს-ის საშუალო სიმძიმის დაზიანების ფონზე მიმდინარე სეფსისის მწვავე პერიოდს შორის.

$P_5$  — სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ენს-ის მძიმე დაზიანებას ფონზე მიმდინარე სეფსისური შოკი და ენს-ის მძიმე დაზიანებას შორის.

ნეიროსონოსკოპიური გამოკვლევით ძირითადად გამოსატყუელი იყო დიფუზური მწვავე და ქრონიკული ჰიპოქსიის სურათი. სხვადასხვა ხარისხის პარკუჭშიგა სისხლის ჩაქცევა დაუდგინდა 9 ავადმყოფს, პარკუჭის ზომების შეცვლის გარეშე და შეცვლით; სუბარაქნოიდული სისხლის ჩაქცევა — 5, სუბდურული სისხლის ჩაქცევა — 3 ავადმყოფს.

ყველა ახალშობილის ზოგადი მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე: უმეტესობას აღენიშნებოდა ცნობიერების დაბინდვა, პიპოდიწამია და პიპოტონია. პოზა — პასიური, ტირილი სუსტი, მკვნესარე ზმით. 7 ავადმყოფი იყო კომურ მდგომარეობაში, აღენიშნებოდა სრული აღენიშნა, კუნთთა ატონია, რეაქციის არარსებობა გარეგან მტკივნეულ ვაშლიზიანებულზე. 8 ავადმყოფს ჰქონდა კრუნჩხვები ტონური და კლონური კომპონენტით, 4 ავადმყოფს — მოტორული მოუსვენრობა, აგზნება, ტრემორი. ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნებოდა ახალშობილთა ფიზიოლოგიური რეფლექსების დათრგუნვა.

თვალის სიმპტომებიდან 11 ავადმყოფს გამოუვლინდა პორიზონტალური ნისტაგმი. 8-ს „ჩამავალი მზის“ სიმპტომი. 11-ს მზერა ჰქონდა

დაფიქსირებული ერთ წერტლში. თვალის ფსკერზე 13 ავადმყოფს გამოვლინდა ლინდა ვენური ქსელის გაფართოება, 17 ავადმყოფს — ბადურაზე წერტილოვანი სისხლის ჩაქცევა.

კანის ფერი 8-ს ჰქონდა მკრთალი, შეხებით თბილი, მშრალი, აღენიშნებოდათ „თეთრი“ ლაქის სიმპტომი, სხეულის ტემპერატურა კი ნორმალური. 6 ავადმყოფს კანის ფერი ჰქონდა მკრთალი, ციანოზური, მიწის ელფერის, შეხებით ნაშიანი, ცივი. 10 ავადმყოფს კანის შეფერვა ჰქონდა მკრთალი, მარმარილოსებრ ჭრელი, კიდურთა ციანოზით, რაც მიუთითებს მიკროცირკულაციის სისტემურ დარღვევაზე, არტერიული წნევის მკვეთრ დაკლებაზე, ხოლო ცივი კანი — პერიფერიული სისხლძარღვების გამოხატული სპაზმის ან სისხლის დინების მკვეთრი შემცირების ამსახველია. 16 ავადმყოფს ჰქონდა ჰიპერთერმია. 14 ავადმყოფს აღენიშნა ცენტრალური და პერიფერიული ტემპერატურის სხვაობის მომატება (საშუალოდ 3—4°). გამოვლინდა კანის დაზიანება, კერძოდ 9 ავადმყოფს აღენიშნა კანისა და კანქვეშა ქსოვილის (ყურის ნაქარების, ცხვირისა და თითების წვერის არეში) ნეკროზი, 11 ავადმყოფს — კანზე პოლიმორფული გამონაყარი, რაც შემდგომში დანეკროზდა. 13 ავადმყოფს გამოუვლინდა პასტოზურობა, შეშუპება, სკლერემა (ზურგის, მუცლის არეში და სხვ.).

დამახასიათებელი იყო გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების სიმპტომატიკა: 25 ავადმყოფს ჰქონდა არითმია, სინუსური ტაქიკარდია, გულის ტონების გასწირება, რაც შემდგომში შეიცვალა ბრადიკარდიითა და ბრადიარითმიით. პერიფერიაზე პულსი არ ისინჯებოდა, გულის ტონები ჰქონდათ მოყრუებული, გულის შედარებითი მოყრუების საზღვრები — გაფართოებული, არტერიული წნევა უმეტესობას მკვეთრად დაქვეითებული.

ავადმყოფთა უმეტესობას სუნთქვა ჰქონდა გაძნელებული: 18 ავადმყოფს ჰქონდა ქოშინი, სუნთქვა — ზერცლე, ზედაპირული, დამხმარე კუნთების მონაწილეობით. 12 ავადმყოფს განუვითარდა ფილტვის შეშუპება, მათ აღენიშნებოდათ ტაქიპნოე, დისპნოე, ხმაურაინი სუნთქვა, ფილტვების აუსკულტაციით ორივე მხარეს მოისმინებოდა მსხვილ- და წვრილბუშტუკოვანი სველი ხიხინი. 5-ს ჰქონდა პირიდან ქაფიანი გამონაყოფი.

საკმლის მომწივლებელი სისტემის მხრივ 12 ავადმყოფს ჰქონდა ნაწლავთა პარეზის მოვლენები, ღებინება, შებერილი მუცელი. 8 ავადმყოფს განუვითარდა წყლულოვან-ნეკროზული ენტეროკოლიტი. მათ ჰქონდათ ნაწლავთა მოქმედება მცირე ულუფებით, გასწირებული, ქაფის, ლორწოსა და სისხლის შემცველი განავლით. 2-ს განუვითარდა პერიტონიტი, 18 ავადმყოფს ჰქონდა ჰეპატომეგალია — ღვიძლი სცილდებოდა ნეკნთა რკალს მარჯვენა მედიოკლავიკულურ ხაზზე 6 სმ-ით, 3 ავადმყოფს — ჰეპატოსპლენომეგალია. სედსისტრი შოკის დროს თირკმლის დაზიანება გამოვლინდა ოლიგურიით 10 ავადმყოფში, 2 ავადმყოფში ანურიითა და აზოტემიით.

აღსანიშნავია ჰემოკოაგულაციის სისტემის დაზიანებათა სიმწირე. 18 ავადმყოფს განუვითარდა ჰემორაგიული სინდრომი: სისხლის დენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ფილტვებიდან, 7-ს სისხლის ჩაქცევა თირკმელზედა ვირჯალში. 16 ავადმყოფს კლინიკურად გამოუვლინდა თრომბოჰემორაგიული სინდრომი, რასაც თან ახლდა ზოგადი მდგომარეობის პროგრესირებადი გაუარესება, პარენქიმული ორგანოების დაზიანება: ინექციების ადგილიდან სისხლის დენის ვახანგრძლივება, ღებინება ყავის ნალექის ფერის მასით, მელენა, ჰემატურია.

სედსისტრი შოკის დროს გამოვლინდა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური აქტივობის მკვეთრი დაქვეითება: სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო შემცირე-



ბული თიროქსინის, ტრიოიდთირონინის, თირეოშემავებელი გურონის კონცენტრაცია ნორმასთან და სეფსისით დაავადებულებთან (იხ. ცხრილი). ფარისებრი ჯირკვლის ასეთ მკვეთრ ჰიპოფუნქციასთან ახლდა ჰიპოფიზის ადაპტაციურ-კომპენსაციური რეაქციის დათრგუნვა — თირეოტროპინის კონცენტრაცია ნორმის ფარგლებში იყო, რაც მიუთითებდა გენერალიზებული ბაქტერიული ინფექციის, ენდოტოქსემიის დამთრგუნველ გავლენაზე ჰიპოფიზურ-თირეოიდული სისტემის მიმართ.

სეფსისური შოკის კარგი და ლეტალური გამოსავლის შედარებამ გვიჩვენა, რომ ცუდი პროგნოზის დროს გაცილებით მკვეთრად არის გამოხატული ჰიპოფიზ-თირეოიდული სისტემის დისფუნქცია, რაც შესაძლოა განოვითქნოთ გამოსავლის პროგნოზისათვის.

ლიტერატურაში არსებობს ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური დაზიანებისა და სეფსისის კომპინირების სიმშრის ასნის სხვადასხვა ინტერპრეტაცია, ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ცნს-ის ჰიპოქსიური დაზიანების დროს დადგენილია ახალშობილებში იმუნური სტატუსის ღრმა ცვლილებები: T- და B-ლიმფოციტებისა და იმუნოგლობულინების დისბალანსი, როგორც ზურგის ტვინის სითხეში, ისე პერიფერიულ სისხლში. კერძოდ, ამ ჯგუფის ყველა ავადმყოფს აღენიშნება T-ლიმფოციტების რაოდენობის მკვეთრი შემცირება და B-ლიმფოციტების რაოდენობის მომატება. ზურგის ტვინის სითხეში T-ლიმფოციტების რაოდენობის შემცირება შეესაბამება ცნს-ის დაზიანების სიმძიმეს. ამრიგად, ცნს-ის ჰიპოქსიური დაზიანების დროს იმუნოლოგიური ადაპტაციის დარღვევა, რაც დაკავშირებულია T-ლიმფოციტების რაოდენობისა და მათი ფუნქციური აქტივობის დეფიციტთან, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კარგი ფონი ჩირქოვან-სეფსისური დაავადების განვითარებისათვის. [5]. მეორე მხრით, გრამუარყოფითი ბაქტერიებით გამოწვეული სეფსისისა და სეფსისური შოკის იმუნური სტატუსის შესწავლით დადგინდა, რომ თვით სეფსისური პროცესი აღრმავებს შეცვლილ იმუნიტეტს, განსაკუთრებით კი ლიმფოციტური სისტემის დეფიციტს და იწვევს T-ლიმფოციტების, მათი აქტიური დრაქციის, ბუნებრივი კილერების რაოდენობისა და ფუნქციური აქტივობის შემცირებას. T-სუპრესორებისა და T-პელერების შეფარდების შეცვლას, დისიმუნოგლობულინემიას, Ig G-სა და Ig M-ის შემცირებით, სეფსისური შოკის დროს გაცილებით მკვეთრია იმუნური სისტემის ფუნქციის დაქვეითება, კერძოდ, მნიშვნელოვნად არის შემცირებული T-ლიმფოციტების, მისი სუბპოპულაციების, B-ლიმფოციტების როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული შემცველობა. O-ლიმფოციტები მომატებულია. შემცირებულია სისხლის შრატის იმუნოგლობულინების, განსაკუთრებით Ig G-ს რაოდენობა [6].

ცნობილია, რომ იმუნოგენეზში გამორჩევით მნიშვნელოვან აქვს ჰიპოფიზის თირეოტროპულ ჰორმონს, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებსა (თიროქსინი ნიკვლთენება იმუნური სისტემის აცლებელ კატალიზატორთა და რეგულატორთა ჯგუფს) და ამ ორგანოთა მდგომარეობას, კერძოდ, მათი დისბალანსი განაპირობებს ორგანიზმის განწყობას ინფექციური დაავადებებისადმი [7—10]. ჰიპოფიზის თირეოტროპული ჰორმონის, ფარისებრი ჯირკვლისა და თიმუსის კავშირზე მიუთითებს S. Simionescu 1974 [11], იგი თვლის, რომ ამ ორგანოთა ურთიერთკავშირს აქვს დიდი მნიშვნელობა როგორც იმუნური, ისე ენდოკრინული პომეოსტაზის შენარჩუნებისათვის.

ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური საშუალო სიმძიმის დაზიანების ფონზე მიმდინარე სეფსისისა და სუფთა ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური საშუალო სიმძიმის დაზიანებისას არსებული ენდოკრინული მარეგულირების შედარებით ვლინდება შემდეგი: სეფსისის კომპინირებისას გაცილებით მკვეთრია ფარი-



სებრი ჭირკვლის ჰიპოფუნქცია, რასაც თან ახლავს ჰიპოფიზის კომპენსატორული რეაქცია თირეოიდული ჰორმონების შემცირების საპასუხოდ — თირეოიდული ჰორმონების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არის მომატებული. სუფთა ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური დაზიანებისას კი თირეოტროპინის კონცენტრაცია თირეოიდული ჰორმონების კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად მცირდება (იხ. ცხრილი).

ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური მძიმე დაზიანების ფონზე განვითარებული სეფსისური შოკის და სუფთა ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური მძიმე დაზიანებისას ჩატარებული ენდოკრინული კვლევის შედეგთა შედარებით ჩანს, რომ სეფსისური შოკის დროს გაცილებით მკვეთრად არის გამოხატული ფარისებრი ჭირკვლის ჰიპოფუნქცია, რასაც თან ახლავს ჰიპოფიზის კომპენსატორული რეაქციის დათრგუნვა-თირეოტროპინის კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია. სუფთა ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური მძიმე დაზიანებისას კი თირეოტროპინის კონცენტრაცია თირეოიდული ჰორმონების კონცენტრაციასთან ერთად მცირდება (იხ. ცხრილი).

მწვავე სეფსისისა და სეფსისური შოკის დროს არსებული ჰორმონული სპექტრის შედარებით გამოვლინდა ფარისებრი ჭირკვლის ფუნქციური აქტივობის ძლიერი დაქვეითება, რომელიც უფრო მკვეთრია სეფსისური შოკის დროს. სეფსისის დროს ფარისებრი ჭირკვლის ფუნქციური აქტივობის შემცირებას თან ახლავს ჰიპოფიზის მხრივ კომპენსატორული რეაქცია — თირეოტროპინის კონცენტრაცია არის მომატებული. სეფსისური შოკის დროს კი ჰიპოფიზის მხრივ კომპენსატორული რეაქცია დათრგუნულია — თირეოტროპინის კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია.

სეპტიცემიისა და სეპტიკოპიემიის დროს ჩატარებული ენდოკრინული ანალიზით დადგინდა, რომ ჰორმონული სტატუსი დამოკიდებული იყო არა სეფსისური პროცესის ფორმაზე (სეპტიცემია თუ სეპტიკოპიემია), არამედ დავადების სიმძიმეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური საშუალო და მძიმე დაზიანებისა, აგრეთვე სეფსისისა და სეფსისური შოკის დროს გამოვლენილი ჰიპოფიზ-თირეოიდული სისტემის დისფუნქცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნოპომეოსტაზში.

ამრიგად, თირეოტროპინის კონცენტრაციის განსაზღვრა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე სადიაგნოსტიკო-საღიფერენციაციო ტესტი, ერთი მხრივ, სეფსისური შოკის პროგნოზისათვის, ხოლო მეორე მხრივ ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური დაზიანების ფონზე სეფსისური პროცესის ადრეულ ეტაპზე გამოსაკლენად. ამასთან, ცნს-ის ტრავმულ-ჰიპოქსიური მძიმე და საშუალო სიმძიმის დაზიანების ფონზე მიმდინარე სეფსისისა და სეფსისური შოკის პათოგენეზში ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს ენდოკრინული, კერძოდ, ჰიპოფიზ-თირეოიდული სისტემის დისბალანსი, რაც საჭიროებს ადრეულ მაკორეგირებელ თერაპიას როგორც იმუნომოდულაციური, ისე ჰორმონთერაპიის სახით.

თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის

პედიატრიის კათედრა

თბილისის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო

(შემოვიდა 10.5.1992)

Н. Г. ДЖИНЧАРАДЗЕ, И. В. ПАВЛЕНИШВИЛИ

## КЛИНИКА И ФУНКЦИОНАЛЬНОЕ СОСТОЯНИЕ ГИПОФИЗАРНО-ТИРЕОИДНОЙ СИСТЕМЫ ПРИ СЕПСИСЕ И СЕПТИЧЕСКОМ ШОКЕ, ВЫЗВАННОМ ГРАМОТРИЦАТЕЛЬНЫМИ БАКТЕРИЯМИ, С ТРАВМАТИЧЕСКО-ГИПОКСИЧЕСКИМ ПОВРЕЖДЕНИЕМ ЦНС У НОВОРОЖДЕННЫХ

### Резюме

В статье рассмотрено состояние гипофизарно-тиреоидной системы при сепсисе и септическом шоке, вызываемых грамотрицательными бактериями, с травматическо-гипоксическим повреждением ЦНС у 70 новорожденных.

Во время сепсиса и при септическом шоке функция щитовидной железы уменьшена и в то же время более выражена во время шока. Концентрация тиреотропина во время сепсиса компенсационно возрастает, а во время шока не отличается от нормы — реакция гипопиза угнетена. Таким образом, определение концентрации тиреотропина может быть использовано, с одной стороны, в качестве вспомогательного диагностико-дифференцирующего теста для прогнозирования сепсического шока и, с другой, для раннего выявления сепсического процесса, связанного с повреждением ЦНС.

Вместе с тем, одним из звеньев в патогенезе сепсиса и сепсического шока, с травматическо-гипоксическим повреждением ЦНС тяжелой и средней степени, является дисбаланс эндокринной, в частности гипофизарно-тиреоидной системы, что требует ранней корригирующей терапии — как иммуномодуляционной, так и гормональной.

### EXPERIMENTAL MEDICINE

N. JINCHARADZE, I. PAVLENISHVILI

## CLINIC AND FUNCTIONAL STATE OF HYPOPHYSIS-THYROIDAL SYSTEM DURING SEPSIS AND SEPTIC SHOCK, CAUSED BY GRAM-NEGATIVE BACTERIA AND PROCEEDING AGAINST THE BACKGROUND OF TRAUMATIC-HYPOXIAL DISORDER OF C. N. S. IN NEWBORNS

### Summary

The paper deals with the state of the hypophysis-thyroidal system during sepsis shock, caused by gram-negative bacteria and proceeding against the background of traumatic-hypoxial disorder of C. N. S. in 70 newborns.

During sepsis and septic shock, the thyroid function is decreased, being at the same time more pronounced during the shock. Thyrotropine concentration during sepsis is compensatingly increased, and is in the normal limits during the shock—the hypophysis reaction being depressed. Thus, the determination of the thyrotropine concentration can be used as an auxiliary, diagnostic and differentiating test for the septic shock prognosis, on the one hand, and for the early revealing of the septic process, proceeding against the background of C. N. S. disorder, on the other.



At the same time, one of the links in the pathogenesis of the sepsis and septic shock, proceeding against the background of the traumatic-hypoxial disorder of C.N.S. of medium and severe form, is the disbalance of endocrine, namely the hypophysis-thyroidal system, which asks for an early correcting therapy in the form of both immunomodulation and hormonal therapy.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. გ. ნიქარაძე, ი. ფავლენიშვილი. ახალშობილთა დაავადებები. თბილისი, 1990.
2. М. Л. Лыткин, Э. Д. Костин, А. Л. Костюченко, И. М. Герешин. Септический шок. Л., 1980.
3. В. Ф. Чеботарев. Эндокринная регуляция иммуногенеза. Киев, 1979.
4. W. Piegroli, N. O. Besedovsky. Clin. exp. Immunol., vol. 20, 1976, 323—329.
5. მჭედლიშვილი. სპ. დის. ავტორეფერატი. თბილისი, 1984
6. დ. დევიდარიანი. სპ. დის. ავტორეფერატი. თბილისი, 1986.
7. N. Fabris. Clin. exp. Immunol., v. 15, 1973, 601—611.
8. А. В. Елишин. Клин. мед., № 9, 1982, 77—81.
9. Т. С. Москвина, Л. А. Иванова, А. И. Фефелов и др. Пробл. эндокринолог., № 6, 1981, 72, 83.
10. С. И. Степаненко. Автореферат канд. дисс. Харьков, 1973.
11. S. Simonescu. Rev. roum. Physiol., vol. 10, 1974, 467—469.





ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Н. М. ЭЛИГУЛАШВИЛИ, Н. В. ГОГЕБАШВИЛИ, М. М. ГИГИНЕШВИЛИ  
КЛИНИКО-ИММУНОЛОГИЧЕСКОЕ СОСТОЯНИЕ БОЛЬНЫХ  
САЛЬНИНГООФОРИТОМ В УСЛОВИЯХ ВОЗДЕЙСТВИЯ  
МАРГАНЦА

(Представлено членом-корреспондентом Академии Н. И. Татишвили 22.10.1992)

Воспалительные заболевания женских половых органов являются одним из основных видов гинекологической патологии. В настоящее время получены убедительные данные, свидетельствующие об изменениях в иммунной системе при неспецифических сальпингоофоритах. Всестороннее изучение этих изменений показало, что состояние иммунологической системы влияет на течение воспалительного процесса. Развитие у больных вторичного иммунодефицитного состояния снижает сопротивляемость организма к инфекционным и другим агентам, провоцирующим болезнь, а также считается одной из причин развития хронического процесса [1—7].

В свою очередь, из многочисленных химических веществ, загрязняющих производственный воздух и специфически воздействующих на женскую генитальную систему, особое место занимают марганец и его соединения [8, 9].

Каков же иммунный статус женщины, работающих на производстве марганца и больных острым сальпингоофоритом? Отличается ли он от иммунного состояния таких же больных, не подвергающихся вредному воздействию марганца? Ответить на эти вопросы мы попытались в нашей работе. Цель настоящего исследования — изучение иммунологической реактивности больных острым сальпингоофоритом на производстве марганца.

Клинико-иммунологическое исследование было проведено у 33 женщин, работающих на Зестафонском ферросплавном заводе, и у 32 женщин, работающих на Руставском азотном заводе. Контрольную группу составили 20 женщин с острым сальпингоофоритом, не подвергавшихся воздействию марганца. Возраст больных колебался от 22 до 64 лет.

Основными у больных были жалобы на постоянные, периодически усиливающиеся, изнуряющие боли в нижнем отделе живота, иррадиирующие в пояснично-крестцовую область, нижние конечности, на повышение температуры, обильные бели, снижение трудоспособности, плохой сон, эмоциональную неуравновешенность. Бесплодие отмечали: на Зестафонском ферросплавном заводе 4,3%, на Руставском азотзаводе 10% женщины. При бимануальном исследовании у всех больных в области придатков определялись болезненные образования.

Лабораторные показатели характеризовались умеренным лейкоцитозом со сдвигом лейкоцитарной формулы влево, эозинофилией и уве-



личением СОЭ. Результаты бактериологических исследований свидетельствовали о наличии неспецифической бактериальной флоры в цервикальном канале. Надо отметить, что воспаление протекало тяжелее, длительнее и выздоровление было более замедленным, с остаточными явлениями у женщин, подвергавшихся в процессе работы воздействию марганца.

Для изучения иммунного статуса определяли содержание Т-лимфоцитов методом спонтанного розеткообразования с эритроцитами барана (Е-РОК) по М. Jondal и соавт. (1972) [10], В-лимфоцитов методом розеткообразования с мышиными эритроцитами (ЕМ-РОК) по J. Gupta и соавт. (1975) [11]. Активность фагоцитоза определяли по методике Е. Ф. Чернушенко и Л. С. Колосовой [12].

Субпопуляции иммунорегуляторных клеток определяли методом, основанным на различной чувствительности Т-лимфоцитов к действию теofilлина [13]. Часть клеток в результате преинкубации с теofilлином теряет способность образовывать розетки с эритроцитами барана (теofilлинчувствительные — ТФЧ), другие Т-клетки устойчивы к действию теofilлина (теofilлинустойчивые — ТФУ). Было показано [13], что в норме у здоровых доноров ТФУ-клетки *in vitro* проявляют в отношении дифференцировки В-лимфоцитов хелперную активность, а ТФЧ-клетки оказывают супрессорное действие.

Содержание иммуноглобулинов А, М, G в сыворотке крови изучали в реакции радиальной иммунодиффузии по Манчини [14]. Статистическую обработку проводили по методу Стьюдента.

Наши результаты изучения иммунологического статуса больных острым сальпингоофоритом в условиях производства марганца представлены в таблице.

Как видно из таблицы, у больных ОВЗВГ, контактирующих с марганцем (1-я группа), отмечалось статистически достоверное снижение уровня Т-лимфоцитов ( $p < 0,001$ ) по сравнению со 2-й, контрольной группой (больными ОВЗВГ, не контактирующими с марганцем). Достоверным было также снижение Т-лимфоцитов у последней группы по сравнению со здоровыми женщинами ( $p < 0,001$ ). При изучении субпопуляций Т-лимфоцитов наблюдалась следующая картина: уменьшение количества Т-хелперов у больных ОВЗВГ по сравнению со здоровыми женщинами ( $p < 0,001$ ), а также достоверное снижение Т-хелперов у больных, испытывающих воздействие марганца, по сравнению с такими же больными, не контактирующими с этим профессиональным фактором ( $p < 0,001$ ). Количество Т-супрессоров также уменьшалось в обеих группах, причем в 1-й группе уменьшение было сильнее ( $p < 0,05$ ). Иммунорегуляторный индекс (соотношение между Т-хелперами и Т-супрессорами) в 1-й группе равнялся 3,5, во 2-й группе — 3,9. Если угнетение Т-хелперов во 2-й группе по сравнению со здоровыми женщинами составило 1,45, то в 1-й группе оно было равно 1,79, Т-супрессоров — соответственно 1,16—1,6 и 1,3—1,8.

Изменения В-лимфоцитов (ЕМ-РОК) в обеих группах были статистически недостоверными по сравнению со здоровыми женщинами ( $p < 0,05$ ).



Что касается фагоцитарной активности нейтрофилов, то статистически достоверно уменьшена ( $p < 0,001$ ) как между 1-й и 2-й, так и между 2-й и 3-й группами.

При изучении иммуноглобулиновых фракций В-лимфоцитов наблюдалась следующая картина. Уровень как IgA, так и IgG в обеих исследуемых группах был в пределах нормы, в то время как уровень IgM в обеих группах был повышен. Увеличение уровня IgM в 1-й группе по сравнению со 2-й было статистически достоверным ( $p < 0,001$ ).

Иммунологический статус при острых воспалительных заболеваниях внутренних гениталий женщин

Иммунологический показатель	Г р у п п а		
	1-я (контактирующая с марганцем)	2-я (контрольная)	3-я (норма)
Т-лимф., %			
Е-ПОК	37,4 ± 1,0	45,45 ± 5,67	52,2 ± 1,2
р	< 0,001	< 0,001	
Т-ф. у. хелп.	27,4 ± 0,8	33,75 ± 0,32	49,0 ± 1,83
р	< 0,001	< 0,001	
Т-ф. ч. суп.	2,75 ± 0,3	8,65 ± 0,27	10—14%
р	< 0,05		
ЕМ-РОК, %	15,7 ± 0,55	14,85 ± 0,26	14,1 ± 0,8
р	> 0,05	> 0,05	
Активность фагоцитоза, %	31,2 ± 1,7	41,6 ± 0,55	05—70
р	< 0,001		
Ig A, г/л	2,26 ± 0,008	2,274 ± 0,198	0,91—2,76
р	> 0,05		
Ig G, /л	14,73 ± 0,99	12,063 ± 0,98	9,0—21,0
р	> 0,05		
Ig M, г/л	2,32 ± 0,005	1,94 ± 0,03	0,21—1,58
р	< 0,001		

Таким образом, из всего вышесказанного можно заключить, что у женщины с ОВЗВГ (2-я группа) наблюдался вторичный иммунодефицит, проявляющийся резким угнетением фагоцитарной активности нейтрофилов крови, функциональной активности Т-лимфоцитов и недостаточностью иммунного ответа, а также увеличением уровня IgM.

Это согласуется с данными некоторых авторов, которые считают, что при ОВЗВГ возникает вторичный иммунодефицит [1—3, 5—7] и повышается уровень IgM [4, 15, 16], хотя, по некоторым данным [15—19], одновременно с гипер-М-гаммаглобулинемией, отмечается гипер-А- и гипер-С-гаммаглобулинемия. Другие авторы [20] считают, что в разгар ОВЗВГ имеет место не столько иммунодефицит, сколько дестабилизация иммунного гомеостаза, а есть данные [21], указывающие на активизацию клеточного и гуморального иммунитета при острых процессах во внутренних половых органах женщин.

Из полученных нами данных следует, что у женщины с острыми воспалительными заболеваниями внутренних гениталий наблюдается вторичный иммунодефицит; при воздействии марганца течение сальпингоофорита тяжелее и вторичный иммунодефицит выражен наиболее сильно. Это, по-видимому, связано со специфическим действием марганца на иммунную систему женщины.

П родлом г. Тбилиси

ბ. ელიგულაშვილი, ნ. გოგებაშვილი, მ. გიგინეიშვილი

სალპინგოოფორიტით დაავადებულთა კლინიკო-იმუნოლოგიური  
მდგომარეობა მანგანუმის ზემოქმედების პირობებში

რეზიუმე

კლინიკო-იმუნოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა 33 ქალს მომუშავე ქ. ზესტაფონის ფეროსენადნობ ქარხანაში და 32 ქალს მომუშავე ქ. რუსთავის აზოტქარხანაში. საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 20-მა ქალმა დაავადებულმა მწვავე სალპინგოოფორიტით, რომლებიც არ განიცდიდნენ მანგანუმის ზემოქმედებას აღმოჩნდა, რომ მწვავე სალპინგოოფორიტების დროს ქალებს აღენიშნებათ მეორადი იმუნოდეფიციტი, მანგანუმის ზემოქმედების დროს დაავადების მიმდინარეობა უფრო მძიმეა და მეორადი იმუნოდეფიციტი გამოხატულია უფრო ძლიერად. ეს როგორც სჩანს, დამოკიდებულია მანგანუმის სპეციფიკურ მოქმედებათან ქალთა იმუნურ სისტემაზე.

## EXPERIMENTAL MEDICINE

N. ELIGULASHVILI, N. GOGEBASVILI, M. GIGINEISHVILI

A CLINICOIMMUNOLOGICAL STATE DURING SALPINGOOPHORITIS  
IN MANGANESE INFLUENCE CONDITIONS

## Summary

A clinicoimmunological examination was performed in 33 women working in Zestaphoni ferroalloy and 32 women working in Rustavi nitrogen plants. The control group consists of 20 patients with acute salpingoophoritis without manganese influence. The results show that the women with acute salpingoophoritis had the secondary immunodeficiency; [the manganese influence caused the harder course of illness and the stronger expression of the secondary immunodeficiency. Obviously, this is associated with specific effect of the manganese on the woman immune system.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Д. Ф. Костюченко, А. И. Джагния, Л. Н. Андреева. *Акуш. и гинек.*, II, 1987, 20—22.
2. К. К. Кудайбергенов, А. И. Емельянова, Б. Л. Гуртовой и др. *Акуш. и гинек.*, 10, 1986, 55—57.
3. М. Н. Молоденков, А. П. Жегульцева, Н. В. Алейникова и др. *Коррекция нарушений иммунитета в клинике и эксперименте*. М., 1985, 75—78.
4. О. К. Погодин, Л. А. Самородинова, Н. К. Матвеева, Г. Т. Сухих. *Акуш. и гинек.*, 4, 1991, 40—43.
5. М. А. Репина, Л. В. Иванова. *Акуш. и гинек.*, 4, 1985, 43—45.
6. Г. М. Савельева, Л. В. Антонова. *Острые воспалительные заболевания внутренних половых органов женщины*. М., 1987.
7. А. Е. Франчук, З. Т. Бензар. *Акуш. и гинек.*, II, 1987, 23—25.
8. Н. М. Измеров, Х. Г. Хойблан. *Гигиена труда женщины*. М., 1985.
9. Р. Н. Манджгаладзе. *Сб. трудов НИИ гигиены труда и профзаболеваний им. Н. Махвиладзе*, т. 10. Тбилиси, 1966, 191—195.



10. M. Jondal, B. Holm, H. Wigzell. *J. exp. Med.*, vol. 136, 1972, 207.
11. Gupta, M. Grieco. *Int. Arch. Allergy*, vol. 49, 1975, 734—742.
12. Е. В. Чернушенко, Л. С. Колосова. Иммунологические исследования в клинике. Киев, 1978.
13. A. Shore, H. Dosch, E. W. Lelfand. *Nature*, vol. 274, 5671, 1978, 586—587.
14. G. Mancini, A. O. Carbonare, G. F. Heremann. *Immunochemistry*, vol. 2, 1965, 235—254.
15. А. С. Лесакова, Ф. Н. Салама, К. Н. Прозоровская и др. *Акуш. и гинек.*, 3, 1973, 9—11.
16. С. Цой, Р. И. Чен, В. М. Струганкий. *Акуш. и гинек.*, 12, 1981, 42—43.
17. О. А. Пересада. Автореферат канд. дисс. Минск, 1982.
18. Ф. С. Салима. *Сов. мед.*, 11, 1973, 114—118.
19. К. С. Шустрова. Автореферат канд. дисс. М., 1974.
20. М. В. Теплякова, А. А. Радионченко. *Акуш. и гинек.*, 7, 1991, 71—75.
21. В. А. Бурлев, Л. С. Шутова. *Акуш. и гинек.*, 11, 1983, 59—62.



ა. ჯირმეთი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი)

შპველესი არმაზული წარწერა საქართველოში

1. 1989 წლის აგვისტოში დედოფლის გორაზე (სოფ. არადეთთან) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ქვევრის პირის ნატეხი არამეული წარწერით (ერთი სიტყვა). (ექსპედიციის ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი იულონ გაგოშიძე)<sup>1</sup>. ეს მესამე შემთხვევაა, როდესაც ქვევრის პირზე საქართველოში გვხვდება არამეული წარწერა (ურბნისი, უფლისციხე) [2, 3].

მოცემული წარწერა ერთი სიტყვისაგან შედგება, რომელიც ოთხ ასოს შეიცავს:

ⲁⲗⲗ

1.1. ნიშანი ⲗ უნდა წარმოადგენდეს ალფს (<sup>1</sup>), რომლის ზუსტი

ანალოგია გვხვდება სისიანის წარწერაში. საყურადღებოა, რომ ზუსტად ამ მოხაზულობის ალფი სხვა არამეულ წარწერებში დადასტურებული არ არის. სისიანის წარწერა აღმოჩნდა 1970 წელს ქ. სისიანის (ძველი: სისაკან) მახლობლად (სომხეთი) სამარხში. იგი გაკეთებულია ვერცხლის თასზე პუნქტირით. ნუმისმატიური მასალის მიხედვით, რომელიც ამ სამარხში აღმოჩნდა (მათ შორის ყველაზე გვიანდელია ძვ. წ. I ს. მონეტა ოროდ II-ისა), წარწერა უნდა იყოს არა უგვიანეს ძვ. წ. I ს-ის ხანისა ([10], გვ. 78—80).

ამრიგად, ჩვენთვის ცნობილი არამეოგრაფიკული წარწერებიდან ნიშანი

ⲗ ალფისათვის გვხვდება მხოლოდ ორ წარწერაში: სისიანის ვერცხლის

თასზე (სომხეთი) და ქვევრის ნატეხზე დედოფლის გორიდან (საქართველო). ძართალია, არმაზული დამწერლობით შესრულებულ სხვა წარწერებში ზუსტად ასეთი მოხაზულობის ალფი არ გვაქვს, მაგრამ მისი მსგავსი მაინც დაიძებნება, მაგალითად, დედოფლის მინდორზე აღმოჩენილ ფირფიტებზე (ⲗⲗ)

და არმაზის მონოლიგნვაში (ⲗⲗ) [5]. უფრო მეტად მოცემული წარწერის ალფთან სიახლოეს იჩენს ნისას წარწერების ალფი — ⲗ

[9]. არცერთ სხვა არამეულ წარწერაში ასეთი ნიშანი (ⲗⲗ) არ დასტურდება, მათ შორის არც ჩრდ. მესოპოტამიური ტიპის არამეულ დამწერლობაშიც [16, 17].

1.2. ⲗ ნიშანი, ვფიქრობთ უნდა იყოს ასო გ, როგორც ეს გვაქვს არმაზის მონოლიგნვასა და ბილინგვაში (სისიანის წარწერაში გ არ გვხვდება). გ-სათვის სულ სხვა ნიშანია ძველ არამეულში (ძვ. წ. XI—III სს.) ⲗ, ⲗ

ჩრდ. მესოპოტამიური ტიპის არამეულ დამწერლობაში შორის ჩვენთვის საინტერესო ნიშანი მხოლოდ არმაზულში გვხვდება [5]. ამრიგად, ეს მეორე ასოა, რომელიც არამეულ წარწერათა შორის მხოლოდ არმაზის სტელებზე

<sup>1</sup> წარწერის მოწოდებისათვის ბ-ნ ი. გაგოშიძეს მადლობას მოვასხენებ.



გვხვდება (შესაძლებელია სისიანის ტიპის დამწერლობაშიც იყო, მაგრამ, საწინააღმდეგოდაა წუხაროდ, ეს ასოს შემცველი ტექსტი არ ვაქვს). სინტერესოა, რომ მხარეთმცოდნეო-ლი ნიშანი  $\gamma$  არამეულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გავრცელებული სწავნიდან ნიშნებისაგან  $\gamma$  მკვეთრად განსხვავდება და მათგან სრულიად განცალკევებით დგას არმაზის მონოლინგვისა და ბილინგვის შესაბამის ნიშნებთან ერთად.

1.3. მესამე ასო, რომელიც  $\gamma$  ნიშნითაა გადმოცემული, ი ასოა, თუმცა მსგავსი მოხაზულობა  $w$ -საც შეიძლება ჰქონდეს.

ასეთივე  $\gamma$  (ი) გვხვდება არმაზის ბილინგვაში [2], ასევე დედოფლის მინდვრის ფორტიტებზე (ფორტიტა № 13) [1]. მისი ზუსტა შესატყვისია სისიანის წარწერია  $\pi$ — $\gamma$  ([10], გვ. 80). ამ მოხაზულობასთან ახლოსაა ნისას წარწერების  $\gamma$  და კუმანის ოსტრაკას, სათანადო ასო— $\gamma$ , რომელთა ადრეული წინამორბედი ელფანტინის (ეგვიპტე) პაპირუსების  $\gamma$  [5].

1.4. მოცემული სიტყვის უკანაენელი ასო სრულიად გარკვევით  $y$  არის ( $>$ ). იგი გვხვდება არმაზული დამწერლობით შესრულებულ ყველა წარწერაში (არმაზის მონოლინგვა, არმაზის ბილინგვა, გარნისა და ბორის წარწერები). ანალოგიურია ნისას, მერვის, აერომაანის, ასევე ნიფურის ოსტრაკას  $y$  ასოც— $\gamma$ .

2. ამრიგად, დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ქვევრის პირზე წარწერილი სიტყვა არამეულად ასე იკითხება:

$^{\circ}gny$  ( $\sqrt{^{\circ}gn}$ ).

აღნიშნული თანხმოვნებისაგან შედგენილი სიტყვა ფართოდაა გავრცელებული არამეულში: იგი გვხვდება ჯერ კიდევ ე. წ. სახელმწიფო (ოფიციალურ) არამეულში ვიდრე თანამედროვე არამეულ დიალექტებამდე, და სახელდობრ: სახელმწ. არამეულში როგორც ლერსმულ, ისე არამეული დამწერლობით შესრულებულ არამეულ ტექსტებში. ვარკას ლერსმულ ტექსტში:  $ag-gan-nu$ , არამეული დამწერლობით შესრულებულ ტექსტში —  $^{\circ}gnn$  (მრ. რიცხვი *status absolutus*)—„თასი“ [13], პალმირის არამეულში— $^{\circ}gn$  (მბ. რ., *status emphaticus*) „თასი, პინაკი“ [8], თარგუმის არამეულში— $^{\circ}aggnā$  „თასი, ფილა; მრგვალი ჭურჭელი; წყლის აუზი“, მრ. რ.  $^{\circ}aggnē$  [14], სირიულში— $^{\circ}aggnā$  „დიდი თასი“, ან „ღვინის ჭურჭელი“ („ქვევრი“?) [19], მანდეურში— $aganīa$  „თასები; ღვინის ქვევრები“ (ასევე:  $aganīa hamra$  „ღვინის ქვევრები“) [12], თანამედროვე არამეულში— $agana$ ,  $agan'a$  „დადი ქოთანი, თასი“ [15]. იგივე სიტყვა გვხვდება მაგიკურ არამეულ თასებზე (პინაკებზე) (IV—VI სს.)— $^{\circ}gny$ ,  $^{\circ}gnhw$ , [18], გვ. 200 და 202), საკულტო პინაკის მნიშვნელობით ([18], გვ. 265).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სიტყვა  $^{\circ}gn$  საერთოარამეულია და „თასს“ ან „ღვინის ქვევრს“ ნიშნავს. იგივე სიტყვა ანალოგიური მნიშვნელობით სხვა სემიტურ ენებშიც დასტურდება [11].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი წარწერა ქვევრის პირის ნატეხზეა შესრულებული, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს მისი მნიშვნელობა: „ქვევრი“, სიტყვის ბოლოკიდური ასო  $y$  სახელთან ჩვეულებრივ I პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს („ჩემი“) გადმოსცემს და, ამგვარად, მივალბთ:  $^{\circ}gny$  =  $^{\circ}aggnī$  „ჩემი ქვევრი“. (შდრ. წარწერა ვერცხლის თასზე ზღუდერიდან:  $qytny$  „ჩემი თასი“ [7]).

3. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დედოფლის გორაზე განათხარი მასალა ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს. ფარგლებში თავსდება (ი. გაგოშიძე). ბუ-

ნებრივია, ისმის კითხვა: რა მიმართულებაშია ჩვენი წარწერა ამ დათარიღების მიმართ, რას იძლევა ამ მხრივ წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი.

დამწერლობა, რომლითაც შესრულებულია მოცემული წარწერა, გარკვევით არმაზულია. ამას ადასტურებს, როგორც ეს ზემოდან ჩანს, ის გარემოება, რომ მისი ყველა ოთხი ასო ანალოგიას პოულობს არმაზულ დამწერლობაში. მათგან სამი (გ, ი, ყ) თავისი მოხაზულობით აბსოლუტურად იდენტურია არმაზის ბილინგვისა თუ მონოლინგვის სათანადო ნიშნებისა. ამასთანავე, ხაზი

უნდა გავსვას იმ ფაქტს, რომ ნიშანი **ტ**, ასო გ-სათვის მხოლოდ ხსენებული

არმაზის სტელებისათვის არის დამახასიათებელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წარწერები შესრულებულია I ს-სა (მონოლინგვა) და II ს-ში (ბილინგვა), მაშინ გ, ი, ყ ასოების მიხედვით, წარწერა ამ ხანას უნდა მიეკუთვნოს. მაგრამ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ წარწერის მეოთხე ასო, რომლითაც სიტყვა იწყება

**ლ** (<sup>2</sup>). მისი ზუსტი ანალოგი, როგორც ზემოთ ითქვა, გვხვდება სისიანის წარწერაში, რომელიც ძვ. წ. I ს-ის პირველ ნახევარს (ან, შესაძლებელია, ძვ. წ. II ს-ის დასაწყისს) ეკუთვნის. არმაზის წარწერებიდან ი-ის აღმნიშვნელ

ასოთაგან მასთან ყველაზე ახლოს მონოლინგვის **ლ** ნიშანი დგას (შდრ. **ლ** და **ლ**); ხოლო არმაზის მონოლინგვა ადრეულად ყველაზე ათვლება საქართველოს აოთაზულ წარწერათა შორის (ახ. წ. I ს.). ამდენად, ნიშანი, რომელიც სისიანის წარწერაშია, **ლ** (ძვ. წ. I ს.), ახ. წ. I ს-ში **ლ** ნიშნის სახეს იღებს. სხვა წარწერათაგან მასთან ყველაზე ახლოსაა (თითქმის იდენტურია) ნისას წარწერების ნიშანი. **ლ**, ასევე ძვ. წ. I ს-ისა. რამდენადაც მოცემული სიტყვის სხვა დანარჩენი ასოები (ი და ყ) ახ. წ. I ს-ზე ადრეულ წარწერებშიც გვხვდება, ამდენად ისინი ხელს ვერ შეუშლიან ჩვენი წარწერის დათარიღებას. **ლ** ნიშნის მიხედვით. რაც შეეხება არმაზულისათვის სპეციფიკურ **ტ** (გ) ნიშანს, რამდენადაც ასო გ სისიანის წარწერაში არ გვხვდება, არ არის გამორიცხული, რომ აქაც ასო გ-სათვის **ტ** ნიშანი იყო.

ამრიგად, პალეოგრაფიულად ჩვენი წარწერის დათარიღება ძვ. წ. I ს-ით, რასაც მხარს უჭერს არქეოლოგიური მონაცემებიც, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია. ამდენად, წინამდებარე წარწერა უძველესია საქართველოში აღმოჩენილ არმაზულ წარწერათა შორის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

(შემოვიდა 22.1.1991)



K. G. Tsereteli

## STAREIŠIAJ ARMAZSKAJ NADPIS' V GRUZII

## Résumé

В 1989 г. при археологических раскопках (руководитель д. и. н. Ю. Гагошидзе), у с. Арадети (Восточная Грузия) был найден обломок винного кувшина («квезри») с арамейской надписью (одно слово). Слово состоит из четырех букв, что читается как *ʔgny* и, по нашему мнению, является арамейским словом *ʔaggān* (со значением «чаша, таз, сосуд; винный кувшин»), широко распространенное в арамейском, начиная с т. н. государственного арамейского, включая и современные диалекты. (Оно известно и в других семитских языках).

Поскольку окончание *y* обычно имеет значение «мой» (притяжательный местоименный суффикс), все слово, сделанное на кувшине, гласит «мой винный кувшин» (*ʔaggāni*).

Надпись выполнена армазским письмом (разновидность арамейского письма). Палеографический анализ надписи и археологические данные дают нам основание датировать ее I веком до н. э. Таким образом, наша надпись является старейшей среди арамейских надписей Грузии, выполненных армазским письмом.

## LINGUISTICS

K. Tsereteli

## THE OLDEST ARMAZIAN INSCRIPTION IN GEORGIA

## Summary

In 1989 a fragment of a wine pitcher („kvevri“) with Aramaic inscription (one word) was found by the Aradeti (East Georgia) during the archaeological expedition (directed by Yu. Gagoshidze). The word consists of four letters

ⲀⲚⲢⲏ, which is read as *ʔgny*, and is supposed to be an Aramaic word *ʔaggān* (which means "bowl, basin, vessel; wine pitcher") widely spread in Aramaic from the so-called Imperial Aramaic including also modern dialects. (It is also known in other Semitic languages).

Since the ending *y* has the meaning "my" (possesive pronoun suffix) the whole word on the pitcher means "my wine pitcher" (*ʔaggāni*).

The inscription is made in Armazian script (a variety of Aramaic script). Paleographical analysis of the inscription and archaeological data enable us to date it from the 1-st century B. C. Thus our inscription is the oldest among the Aramaic inscriptions of Georgia made in Armazian script.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ი. გაგოშიძე, შ. წოწელი. არამეულწარწერათანი ფირფიტები დედოფლის გორიდან. — კრებ. „ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები“. თბილისი, 1991. გვ. 69, ფირფიტა №20.
2. გ. წერეთელი. არმაზის ბილნევა. ენიმეის მთაზე, XIII, თბილისი, 1942.

3. კ. წერეთელი. ურბნისის არამეული წარწერა. სმამ, 132, № 3, 1988.
4. კ. წერეთელი. უფლისციხის არამეული წარწერები. კრებ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 1991.
5. კ. წერეთელი. არამეული დამწერლობა. სემიტოლოგიური ძიებანი, V, 1991.
6. კ. წერეთელი. არამეული დამწერლობით შესრულებული ახალი წარწერა მცხეთა-სამთავროდან. შიგნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3. 1987 წ.
7. მ. ტელიძე. ეპიგრაფიკული შენიშვნები. სემიტოლოგიური ძიებანი, V, თბილისი, 1991, გვ. 73—74.
8. И. Н. Винников. Словарь арамейских надписей. Палестинский сборник, вып. 4. Москва—Ленинград, 1959.
9. М. Дьяконов. Надписи на парфявских печатях из Древней Нисы. ВДИ, 1954/4, с. 171.
10. А. Г. Периханиян. Арамейская надпись на серебряной чаше из Сисиана. Историко-филологический журнал АН АрмССР. Ереван, 1971, № 3.
11. D. Cohen. Dictionnaire des racines sémitiques, fasc. 1. Paris, 1970.
12. E. S. Drower, R. Macuch. A Mandaic Dictionary. Oxford, 1963.
13. Ch.-F. Jean, J. H. Hofstjzer. Dictionnaire des inscriptions sémitiques de l'Ouest. Leiden, 1965.
14. J. Levy. Chaldäisches Wörterbuch über die Targumim. Köln, 1959.
15. J. A. Maclean. Dictionary of Vernacular Syriac. Oxford, 1901.
16. J. Naveh. Early History of the Alphabet. Leiden, 1987.
17. J. Naveh. The Development of the Aramaic Script. Jerusalem, 1970.
18. J. Naveh, Sh. Shaked. Amulets and Magic Bowls. Aramaic Inscriptions of Late Antiquity. Jerusalem-Leiden, 1985.
19. J. Payne Smith. A compendious Syriac Dictionary. Oxford, 1976.

თ. ციციშვილი

## 20-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკა

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ალ. გვახარამ 8.6.1992)

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში მე-20 საუკუნის ოციანი წლები უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია. იგი გამოირჩევა ლიტერატურული პროცესის მრავალფეროვნებითა და სირთულით. შეუზღებელი წინააღმდეგობებით და მძაფრი დაპირისპირებებით, ახალი, ხშირად მოულოდნელი ტენდენციების აღმოცენებით, სხვადასხვა მიმდინარეობათა თუ მიმართულებათა შემოქმედებითი სითამამით.

XX საუკუნის დამდეგის ლიტერატურული პროცესი ყოველივე ამასთან ერთად ფრიალ ინტენსიურიც იყო. იგი ხასიათდება ინტერესების სიფართოვით, იდეოლოგიურ და მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპთა ჭიდილით, რომლის დროსაც მიმდინარეობდა არა მარტო პოლიტიკურ და მხატვრულ პოზიციათა მძაფრი დაპირისპირება, არამედ პარტიულ-მოქალაქეობრივი და ადამიანურ-ჰუმანისტური მრწამსის აშკარა შეუთავსებლობა. ისევე როგორც ფეტიშად გამხდარი ინტერნაციონალიზმისა და ეროვნული გრძნობის სრული გათიშულობა.

ამ ორ ათწლეულში, შეიმჩნევა მხატვრული ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის მკვეთრად გაზრდილი აქტიურობა. ამავე პერიოდთანა დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში წერის ახალი მანერის დამკვიდრება და ახლებური სტილის ძიებისაკენ სწრაფვა. რამაც მოდერნისტულ ლიტერატურული ფორმების დამკვიდრებამდე მიგვიყვანა.

ოციანი წლების სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეთა გამო ამ დროს წიგნის გამოცემა ძალზე ჭირდა, რის შედეგადაც კრიტიკულ სტატიათა უმრავლესობა უპირატესად პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა, მეტწილად ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა.

იმეამინდელი პერიოდიკისათვის დამახასიათებელია ბეჭდვითი ორგანოების სიმრავლე და მათი იდეურ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული პრინციპების სრული განსხვავებულობა, ხშირად დიამეტრულიც კი. ამ დროს გამოდიოდა ისეთი საყურადღებო ჟურნალ-გაზეთები, როგორიც იყო „ლომისი“, „ილიონი“, „ქართული მწერლობა“, „კავკასიონი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „უქიმერიონი“, „არიფიონი“, „მნათობი“, „პროლეტარული მწერლობა“, „მემარცხენეობა“, „პროლიმაფი“ და არაერთი სხვა).

ოციან წლებში სალიტერატურო კრიტიკის ასპარეზზე მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი ქართველი მწერლები, როგორიც იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ რობაქიძე, ივანე გომართელი, გერონტი ქიქოძე, აკაკი პაპავა, ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე კაპანელი, დავით ონიაშვილი, არჩილ ჯაჭანაშვილი, კოკი აბაშიძე, სერგი ამალალობელი, გიორგი ჭუმბურიძე, ლეო ნათაძე და არაერთი სხვა. ამ კრიტიკოსთა უმრავლესობა კარგად იყო ორიენტირებული როგორც ეროვნულ ისე რუსულ და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში.



ოციან წლებში მოღვაწე ზემოთ ჩამოთვლილი ავტორთა აქტიური მონაწილეობით, მართალია ზოგჯერ ნაჩქარევად, მაგრამ დროის მოთხოვნის შესაბამისად, ნაკარნახევი კომპენტენტური კრიტიკული წერილების გვერდით ვხვდებით პოლიტიკური კონიუქტურის გაშიშვლებულად გამოშხატველ. კლასობრივი ღვარძლით აღსავსე მწერლურ ფაქტსა და კრიტიკულ სამართლიანობას მოკლებულ წერილებსაც.

კრიტიკულ ნაწარვეში პოლიტიკური კონიუქტურის თანმიმდევრული მოძალევა და დამკვიდრება დაკავშირებულია ქართველ კრიტიკოსთა ახალი თაობის საქმიანობასთან. ამ თაობას წარმოადგენენ ე. წ. კომუნისტი კრიტიკოსები და მათი თანამზრახველები: ბენიტო ბუაჩიძე, პეტრე გულუიშვილი, პლატონ ქუქოძე, ვალია ბახტაძე, ბესო ყლენტი და ზოგიერთი სხვა, რომლებიც თავიანთ კრიტიკულ საქმიანობაში „განუხრელად ხელმძღვანელობდნენ“ მარქსის მოძღვრებით, უფრო ზუსტად კი ვულგარული მარქსიზმით და ლენინის ლიტერატურული შეხედულებებით, მათ კრიტიკულ საქმიანობაში მკაფიოდ იჩენდა თავს პოლიტიკური კონიუქტურობისადმი აშკარა მიდრეკილება: ცალმხრივად გაგებული სოციალისტური რეალიზმის მეთოდისადმი ბრმა ერთგულება და პარტიულობის პრინციპისადმი მონურ-მედავიითური დამოკიდებულება, რამაც დიდი ზიანი მოუტანა არა მარტო იმ წლების, არამედ შემდგომი პერიოდის ქართულ მწერლობასაც.

მაგრამ ოციანი წლების ქართულ მხატვრულ კრიტიკას ზოგიერთი სიკეთეც მოსდგამდა: მისთვის დამახასიათებელი იყო აზრის შედარებით თავისუფალი გამოთქმის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ეს გახლდათ უკანასკნელი ათწლეული, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა საკუთარი შეხედულებების, პოზიციის, მოფლმხედველობრივი თვალსაზრისის გამოქყადების შესაძლებლობა, რაც ტოტალიტარული რეჟიმის გაძლიერების გამო პირწმინდად აღიკვეთა ოციანი წლების დასასრულისათვის, ამის შემდეგ ქართული კრიტიკა წმინდა კონიუქტურულ მოვლენად გადაიქცა, პარტიულ-პოლიტიკური სატელიტობის ფუნქცია იკისრა და კარიერისტული მამებლობა ნორმად გაიზადა.

ოციანი წლების სალიტერატურო კრიტიკისათვის განსაკუთრებით არის დამახასიათებელი ესეისტური ნარკვევების შესამჩნევი მოძალევა, რის შედეგადაც ესეი კრიტიკის ერთ უმთავრეს და განსაკუთრებით გავრცელებულ ჟანრად იქცა. ამას, ალბათ, თავისი გამაპირობებელი მიზეზი გააჩნდა, კერძოდ, ის, რომ მე-20 საუკუნისათვის ნიშნულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და საზოგადოებრივ-ესთეტიკურმა ფაქტორმა გავლენა იქონია სალიტერატურო კრიტიკასა და მხატვრული ლიტერატურის არსზე, ხასიათსა და იდეაზე. ამ პერიოდის კრიტიკისათვის დამახასიათებელია ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები, პოლიტიკური ანგარიშსწორება, გადაჭარბებულობა შეფასებებში, იარლიყების დაუსაბუთებელი მიკერება და ათასი სხვა ცოდვა. ამ პერიოდის კრიტიკოსებისათვის ნიშნულია შინაგანი გაორება, ხშირად დაბნეულობა, უფრო ხშირად კი თვითმიზნური და საჩვენებელი ოპტიმიზმი. როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და იდეურ-მხატვრულ სიტუაციას არ შეიძლება არ ემოქმედა კრიტიკულ ესეისტურ ჟანრზე, რადგან ესეი სხვებისაგან განსხვავებით ყველაზე მეტადაა დაახლოებული ავტორის პიროვნულ-სუბიექტურ მონაცემებთან!

გარდა ამისა ჩვენის აზრით, არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა იმჟამინდელ კრიტიკოსთა ჯეროვანმა „ვაუწყაობამ“ ე. წ. „მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში“. თეორიული მოუზნადებლობა ამ ახალ სფეროში, ხშირად აძულებდა ქართველ კრიტიკოსებს მიემართათ ესეის ჟანრისათვის, როგორც ისე-



თი მხატვრულ-კრიტიკული ფორმისათვის, რომელშიც „იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ფილოსოფია“ და გარკვეულობა შედარებით ნაკლებ როლს თამაშობდა მუშაობის მუხტშიც წმინდა სუბიექტურ ფაქტორს შეეძლო ყოველივე ამის ვუაღიროება და სრული მიჩქმალვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ოციანი წლების კრიტიკისათვის ნიშანდობლივია ეროვნული თვითშეგნების მკვეთრი ამაღლება, რაც გამოიხატა, როგორც სალიტერატურო კრიტიკის ამჟამა მობრუნებაში ეროვნული პრობლემატიკისაგან, ისე კლასიკური ტრადიციების გაგრძელებასა და მათ შემოქმედებითად გამოყენებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა კრიტიკაში მაინც მძლავრობდა (რაც კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა) პროლეტარულ კრიტიკოსთა მიერ ინტერნაციონალიზმის წრეგადასული ქება-დიდება და ინტერნაციონალიზმის ამოსავალ, განმსაზღვრელ საწყისად მიჩნევა. ეს ხდებოდა ეროვნული საწყისის სრული უარყოფის ხარჯზე და მისგან მკვეთრი, კატეგორიული გამოქვნით (სწორედ მაშინ გახდა საღანძღავ სიტყვად ნაციონალისტი და ნაციონალიზმი).

ე. წ. პროლეტარულ კრიტიკა დაუფარავად ამკლავებდა ეროვნულ ნიშნებს, რაც გადაიქცა კომუნისტური წყობის და სოციალისტური სისტემის საერთო ნიშნად, მის მოუცილებელ თავისებურებად.

ასეთი დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი მცდარ გზაზე აყენებდა ქართულ კრიტიკასაც და მთელ საბჭოთა ლიტერატურასაც. ეროვნულობის ყოველგვარი, სულ მცირედი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით უფრო ზიანის მომტანი იყო ვიდრე სხვა რაიმე „ბოლშევიკური აკრძალვა“.

ეროვნულობის წინააღმდეგ ლაშქრობის გამოხატულებას წარმოადგენდა ეროვნული ნიშნებით მოწამლული კრიტიკოსების ვულგარიზატორული ლოზუნგები: „ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია“, „ღორული შოვინიზმი“ და სხვა. ამის შედეგად მომდევნო წლებში იგნორირებული და „მივიწყებული“ (უფრო ზუსტად აკრძალული) იქნა ნიჭიერ ქართველ კრიტიკოსთა მთელი პლეადა.

ოციან წლებშივე ფართო გავრცელება ჰპოვა ერთმა ვერაგულმა ხერხმა: ახალი თაობის, კომუნისტური იდეოლოგიის კრიტიკოსები თავის წინამორბედ კრიტიკოსთა ნაშრომებს თუ ცალკეულ წერილებს, მათი ავტორების მოუხსენიებლად (გვარის დაუსახელებლად) იყენებდნენ (სოჯერ პირდაპირ გადმოწერდნენ კიდევ). უმეტესწილად კი ეკლექტიკურად და კომპოლიციურად. ახალი თაობის ეს კრიტიკოსები „ძველების“ ნააზრევს საწინააღმდეგო ძველადობას სძენდნენ და ახალი იდეოლოგიის სამოსელში ახვევდნენ.

ასეთ „გაძარცვულთა“ და დაუსახელებლად „გამოყენებულთა“ რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი ქართველი მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი გრიგოლ რობაქიძე. ეს ალღოიანი და ღრმად მოაზროვნე კრიტიკოსი და ესეისტი, შეიძლება თამამად ითქვას, ნათელმხილველი ნიჭის პატრონი გახლდათ და შესანიშნავად ერკვეოდა როგორც მსოფლიო ლიტერატურის, ისე მსოფლიო ხელოვნების ისტორიასა და აწმყოში.

სწორედ ოციან წლებში დაიბეჭდა რობაქიძის ცნობილი წერილები: „ქართული ექსპრესიონიზმი“ („კავკასიონი“, 1924 წ.), „სანდრო ცირეკიძე“ („რუბიკონი“, 1928 წ.), „ქართული დრამა“ („რუბიკონი“, 1923 წ.), „სალიტერატურო აკადემია“ („საქართველო“, 1926 წ.), „დავით კლდიაშვილი“ („ქართული მწერლობა“, 1931 წ.). გრ. რობაქიძემ დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი საუკუნის მოდერნისტულ მიმდინარეობათა თეორიულ გააზრებაში.

სამწუხაროდ, ოცდაათიანი წლებიდან ამ დიდებული მოაზროვნისა და ლიტერატორის სახელი საბჭოთა საქართველოში ანათემას მიეცა. მას დასწამეს ფაშისმისადმი თანადგომა, რის გამოც მისი შემოქმედება შერისხულ იქნა და მას სასტიკი ყაღდა დაედო.



ეს ბედი არ ასცდა არც უნივერსიტეტის ქართველ კრიტიკოსს აკაკი პაპავას. მისი გახმაურებული წერილები: „ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე“ (1920 წ.), „ხალხო საქმე“, 1920 წ.), „ნიღაბ ქვეშე“ (1931 წ. იქვე), „რკალიები“ (იქვე 1926), „იოსებ გრიშაშვილი“ (იქვე, 1924 წ.), „ქართული რომანი“ („ქართული სიტყვა“, 1923 წელი) და სხვები სასტიკად აიკრძალა და ათეული წლების მანძილზე მმართველად ამოღებული იქნა.

აკაკი პაპავა ამ პერიოდის ქართულ მწერლობასა და მთელ ქართველ საზოგადოებრიობაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა და თავის დროზე საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდად თვალსაჩინო როლს თამაშობდა. მსოფლიო და ეროვნულ ლიტერატურაში, ამ ღრმად ჩახედული მკვლევარის და საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ზედმიწევნით მკოდნე კრიტიკოსის ნააზრევით არა თუ დაინტერესება, არამედ მისი სახელის უბრალო ხსენებაც კი საბჭოურ პერიოდში უდიდეს მკრეხელობად ითვლებოდა.

ივანე გამორთელი ქართული ლიტერატურის ჩინებული მკვლევარი გახლდათ. ამ დაცვირებულსა და შორსმჭვრეტელ კრიტიკოსს, უყურადღებოდ არ დარჩენია არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა იმეამინდელი ქართული ლიტერატურული ცხოვრებისა, თავისი კრიტიკული საქმიანობის დასაწყისში იგი მარქსიზმის ზეგავლენას განიცდიდა, ხოლო შემდგომ სრულებით განუღვა ამ გზას და შეეცადა უფრო ფართო თვალსაწიერი გამოემუშავებინა.

გერონტი ქიქოძის ფართო განათლებამ, ფართო ერუდიციამ, ქართული, რუსული და უცხოური (განსაკუთრებით ფრანგული) მწერლობის ზედმიწევნითა ცოდნამ განაპირობა მისი კომპეტენტურობა და ერთ-ერთი წამყვანი კრიტიკოსის როლი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

გამოჩენილმა კრიტიკოსმა და ლიტერატურის ისტორიკოსმა ვახ. კოტეტი-შვილმა, უძველესი და უმდიდრესი ქართული ფოლკლორის შესწავლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა დაუვიწყარი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების შესწავლაში. ისევე როგორც ვრ. რობაქიძის, ავ. პაპავას და სხვათა ღვაწლი, მისი სასარგებლო საქმიანობაც ათწლეულთა განმავლობაში მიჩქმალული იყო. ასეთივე ბედი ეწია ნიჭიერ კრიტიკოსსა და ფილოსოფოს კონსტანტინე კაპანელს, რომელმაც შესამჩნევი კვალი დაამჩნია ოციანი წლების ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას.

ცნობილი ქართველი კრიტიკოსების, არჩილ ჯაჭანაშვილისა („კრიტიკული შენიშვნები“, „ქართული სიტყვა“, 1924 წ. № 21, 22) და კოკი აბაშიძის („კულტურის ფრონტი“, „საქართველოს სამრეკლო“ 1923. № 1) მოღვაწეობამ ღრმა კვალი დაამჩნია იმ პერიოდის ქართულ კრიტიკას და რაოდენ საწყენია, რომ მათი ღვაწლი ნაკლებადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის.

სახელოვან ქართველ კრიტიკოსთა და ფილოსოფოსთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მათ მიერ მოდერნისტულ მიმდინარეობათა შესწავლა და ქართულ სინამდვილეში მათი „გადმონერგვის“ პროცესის ჩვენება.

ოციანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობათა და დაჯგუფებათა („ცისფერი ყანწლები“, „აკადემიურ მწერალთა ასოციაცია“, „პროლეტარული მწერლობა“, „მემარცხენეობა“, „არფიონი“, „ფუტურისმი“) მიმდევრები თავიანთ კრიტიკულ წერილებში ესწრაფოდნენ არსებულ მიმდინარეობათა ნიმუშების თეორიულ შეფასებას და იდეურ-მხატვრულ ანალიზს. ამ ლიტერატორთა კრიტიკულმა წერილებმა დიდი როლი ითამაშეს ქართული სალიტერატურო კრიტიკის დასავლეთეურობულ და მსოფლიო მხატვრულ აზროვნებასთან დაახლოებაში, რითაც გაათავოთეს მშობლიუ-



რი ლიტერატურათმცოდნეობის პორიზონტი და გაათანადროულეს ეროვნულ-მხატვრული ასროვნება.

ამ კრიტიკოსთა ასეთი სწრაფვა იმ ვითარებაში, როდესაც პროლეტარული კრიტიკის უმთავრესი მიზანი იყო ნაციონალური ღირსების უგულვებელყოფა, მისი მიჩქმალვა და დაწინებება, ეროვნულობაზე საუბარი დიდი გამბედაობა იყო. მაშინ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ აკადემიური ასოციაციის წარმომადგენლები, თუმცა 20-იანი წლების კრიტიკოსები ცალკეულ ნიმუშთა შეფასებისას ვერ ასცდნენ ექსტრაგაგანტურობას, ზედმეტ ესთეტიზმს, ორიგინალიზმისას, ირაციონალისტურ სწრაფვას, ფორმალისტურ ცდუნებებს.

სრულებით საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგნენ „რაპული“ კრიტიკოსები, რომელთა მიზანი იყო, რომ ქართული მწერლობის წრიდან გამოეყოთ გარკვეული „ფენა“. რომელიც მეთოდურად უნდა დაეხლოებინათ კომუნისტურ იდეალებთან, რათა შეექმნათ იდეური დასაყრდენი პროლეტარული მწერლობისათვის და თავიანთ პოზიციებისაკენ შემოებრუნებინათ ქართული მწერლები. ამ გზით ისინი ცდილობდნენ შეემცივებინათ ცნობილ ქართველ მწერალთა გავლენა და ზვედროთი წონა, რომელნიც, არსებითად, პარტიის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ.

ოციან წლებში კომუნისტური პარტია და მისი ორგანოები აშკარად მფარველობდნენ იმ მწერლებსა და კრიტიკოსებს, რომელთა „მორჩულების“ იმედოც კჳნდათ.

„რაპული“ კრიტიკა საკუთარი იდეურ-მხატვრული პოზიციებიდან გამომდინარე აგრესიულად იყო განწყობილი და მეთოდურად განაქიქებდა ყოველივეს, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ პოზიციასა და თვალსაზრისს. იგი დაუნდობლად ეპყრობოდა „იდეურ მოწინააღმდეგეებს“ და ფრიად იოლად ანიჭებდა „ლიტერატურულ მტრების“ სახელს, ყველა იმას, ვისაც მიზანში ამოიღებდა.

იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ვიწროდ, მედავითურად შემოფარგლული „რაპული“ კრიტიკა მოითხოვდა ქართული მწერლობის პოლიტიზაციას და ლიტერატურაში ლენინური პრინციპების ფართოდ და მტკიცედ დანერგვას; პარტიულობის რაც შეიძლება მეტად გავრცელებას, მის ფეტიშოზიციას, კრიტიკის ძირითად გეზად ლენინური თვალსაზრისის ქტევას. შემთხვევითი არ იყო, რომ პროლეტარული კრიტიკოსები და მწერლები არასაბჳოთა მწერლებად მიიჩნევდნენ ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს ეროვნულ ლიტერატურისა, როგორც იყვნენ: ვასილ ბარნოვი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე და არაერთი სხვა.

გარკვეულ დრომდე მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ ქართული მწერლობა და სალიტერატურო კრიტიკა ცხოველ ინტერესს იჩენდა, მაგრამ შემდეგ ეს ვითარება სრულიად საწინააღმდეგო მიდგომით შეიცვალა. 1926 წ. იბეჭდება შეფელის, ბ-ს, რაყდენ კალამის და სხვების წერილები, სადაც მიხ. ჯავახიშვილი ხალხის მტრად არის შერაცხული: „ჯავახიშვილი მტრულ ბანაკიდან გადმოვიდა და ქართული მუშათა კლასის ლიტერატურას შეაფარა თავი და შეეხიზნაო“.

გუთგებარი იყო რომელ „მტრულ ბანაკიდან“ გადმოვიდა მიხ. ჯავახიშვილი და ვის „შეაფარა თავი“. პროლეტარული კრიტიკოსები დაუნდობლად ანადგურებდნენ მწერალს. არსებითად ეს იყო პოლიტიკური დასმენა. „ჯავახიშვილი ლოგიკურად აუცილებლად ვარდება თანამედროვეობასთან მტრულ განწყობილების მორევში, იგი ბარიადის იქით აგროვებს კენჭებს თანამედროვეობასთან საბრძოლველად“.



ვასილ ბარნოვი კი საერთოდ გარყევს თანამედროვე მწერლობიდან. ვასილ ბარნოვი წარსული დროის მწერალია, რომლის კალამი რკინის და ელექტროქიმიის სრულიად მიუღებელიაო — ამტკიცებდნენ ვულგარული კრიტიკის წარმომადგენლები.

კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა კონსტანტინე გამსახურდიაც, ერთი ყველაზე ქვესაროლია კრიტიკოსი პლატონ ქიქოძე წერდა: „იმის მაგივრად, რომ მომკვდარიყო, მან გაიღვიძა და ჩვენი წიგნის ბაზრებზე ღეთის რისხვად ოთხი წიგნი გამოუშვა. იგი სრულიად გამოუსწორებელიაო...“ ამ გამოჩენილ და თვითმყოფ მწერალს ასე ახასიათებდნენ: „საერთოდ გამსახურდია ლიტერატურადანაა გაკეთებული... ის არის მოძრავი ციტატა. ციტატების კომბინაცია“.

თუ რა დონეზე იდგა და რას ემსახურებოდა იმ პერიოდის ქართული კრიტიკა ეს კარგად ჩანს შალვა დადიანის „უბედური რუსის“ შეფასებიდანაც. „შ. დადიანმა კარგად შესძლო თავისი რეაქციონური იდეისათვის შესაფერი ფორმის მონახვა. მართალია, ჩვენთვის საშიში არ არის რომანში მოცემული აღწერები, მაგრამ ეს იდეები სასაცილოა და კომიკურია, ეს მაშინ, როდესაც საქართველოში კომუნისტების აჩრდილი დაქრის“.

ამავე ხერხებით განაქიქებდნენ ნიკოლოზ მიწისვილის პროზაულ ნაწარმოებებს, ერთობ ძნელია გაერკვე სად მთავრდება რომანის გმირების კრიტიკა და სად იწყება მიწისვილის ლანძღვა-გინება.

„რაბული“ კრიტიკის აზრით ვერც სერგო კლდიაშვილმა შესძლო ისეთი ნაწარმოებების შექმნა როგორც „საჭიროდ“ მიაჩნდათ „რაბული“ კრიტიკის ადვოკატებს. მათი აზრით სერგო კლდიაშვილის მოთხრობები: „მოსაწყენი პროვინციის მოსაწყენი პერსონაჟებია“.

იმ ავადსახსენებელ წლებში გაშლილი ფრონტით შეუტეეს ლეო ქიაჩელსაც. „განა არიან კიდევ ადამიანები ამ ქვეყანაზე, ვისაც აინტერესებთ თავადის ქალების სქესობრივი უძლეულება, — წერდა პლ. რომაქიძე — ვის რა საქმე აქვს დაბერებულ თავადის ქალების გაცრუებულ სიყვარულთან“.

ამ პერიოდში ასევე შერისხულნი იყვნენ ისეთი დიდებული ქართველი მწერლები როგორც არიან ნიკო ლორთქიფანიძე, ალექსანდრე აბაშელი, გალაქტიონ ტაბიძე. იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია და ზოგიერთი სხვაც.

„ქართველი მწერლები პირდაპირ დამყავებული, ხავსმოკიდებული დილექტანტიზმით, რითმების უმოწყალო ხერხებით და დაეანჯული ლექსიკონით, კამეჩივით შეთითხნილნი, მოუხეშავი გაგრძელებული ლექსებით გვევლინებიანო“.

მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, 20-იანი წლებში ნიჭიერ ქართველ კრიტიკოსთა მთელი პლეადა მოღვაწეობდა, რომელთა ღვაწლი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შეფასებული და ჩვენი ვალია მათი სახელების უკვდავყოფა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



თ. ციციშვილი

## ЛИТЕРАТУРНАЯ КРИТИКА 20-Х ГОДОВ

Резюме

20-е годы XX века в истории развития литературы являются чрезвычайно важным периодом. Он отличается противоречиями и резким противостоянием, возникновением новых, зачастую неожиданных тенденций, творческой смелостью разных течений и направлений.

Литературный процесс 20-х годов характеризуется не только широтой интересов, резким противостоянием политических и художественных позиций, но и явной несовместимостью партийно-гражданской и гуманистической веры, полным разрывом между интернационализмом, сделавшимся фетишем, и национальной самобытностью.

PHILOLOGY

T. TSITSISHVILI

## GEORGIAN LITERARY CRITICISM OF THE TWENTIES

Summary

The twenties of the XXth century are the most important years in the history of development of Georgian Literature. The period was distinguished by the variety and complexity of literary processes, irreconcilable resistance and severe opposition, creative courage of different literary trends, beginning of new, often unexpected, tendencies. The literary life of the period was very intensive. The opposition between political and artistic positions, inconsistency between communist-civil and humane beliefs, and a complete split between the fetishistic internationalism and feelings, have taken place during the period.

## ა ვ ტ ო რ თ ა ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ ო დ

1. ჟურნალ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებულ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვითი ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით, როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბეჭდად წელიწადში შეუძლია წარმოადგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს 12 წერაღისა (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით), ე. ი. თითოეულ ნომერში თითო წერილი. საკუთარი წერილი — რამდენიც სურს, ხოლო თანაავტორებთან ერთად — არა უმეტეს სამი წერილისა. გამოჩაყლის შემთხვევაში როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს 12-ზე მეტი წერილის წარდგენას, საკითხს წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარმოსადგენად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) წელიწადში შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთთა, თანაავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილს აუცილებლად უნდა ახლდეს ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის სახელზე იმ სამეცნიერო დაწესებულებების მონართა, სადაც შესრულებულია ავტორის სამუშაო.

5. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბეჭდად საყვებით მზა სახით, ავტორის სურვილისამებრ ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, რუსულ ტექსტს — ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე. ხოლო ინგლისურ ტექსტს ქართული და რუსული მოკლე რეზიუმე წერილის მოცულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 8 გვერდს (16000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილი 12 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი 11 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქცია ღებულობს თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

6. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღნიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

7. წერილი არ უნდა იყოს ვადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადაგზა, ქვეთავების მიხედვით გადმოცემულია დსკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი გამეორება წერილის ბოლოს.

8. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი, ქვემოთ — წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს, წარმომდგენმა უნდა წააწეროს, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება წერილი. წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარჯვენა მხარეს, ავტორმა უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სრული სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

9. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად კონკრეტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს კალკზე შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალკიდანააღივალად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად ავითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექსტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფორტოებისა და

ნახაზების დაწეება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდეზე დანჭრით უნდა აღნიშნოს რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც კურსალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები შეიძლება მოთავსდეს ფილდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ვგზემალარში, ბერძნულ ასოებს ქვემოთ და ატარებენ უნდა ვაგვსას თითო ხაზი წითელი დანჭრით, მთავრულ ასოებს — ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი დანჭრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი დანჭრით. დანჭრობები უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარისხის მარკენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცლებზე. წერილში არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები დანჭრით ან მელნით.

10. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საერთაშორისო შრომა, უნდა იყოს გერმანული შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია გუჯინოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ჩუქურთმის უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაღაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ჩაწერები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

11. „მოახბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერატულ ფურცელში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ ცალად).

12. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებზედ შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (არამეტრეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

13. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, დ. გამრეკელის ქ. № 19; ტელ. 37-22-16,

საფოსტო ინდექსი 380060

## К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале «Сообщения АН Грузии» публикуются статьи академиков, членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН Грузии.

2. В «Сообщениях» не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН Грузии принимаются непосредственно в редакции «Сообщений», статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН Грузии. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в «Сообщениях» не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в «Сообщениях» не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья обязательно должна иметь направление из научного учреждения, где проведена работа автора, на имя редакции «Сообщений АН Грузии».

5. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском, на русском или на английском языке, по желанию автора. К грузинскому тексту должны быть приложены русское и краткое английское резюме, к русскому тексту—грузинское и краткое английское резюме, а к английскому тексту—грузинское и краткое русское резюме. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приводимый в конце статьи, не должен превышать 8 страниц журнала (16 000 типографских знаков), или двенадцати стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами—одиннадцати страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

6. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

7. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

8. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем—название статьи, а под названием—инициалы и фамилия представляющего статью и дата представления арабскими цифрами. Справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

9. Иллюстрации и чертежи должны быть представлены в двух экземплярах в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подписуемые подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует прикладывать фото и чертежи к листам оригинала. На полях ори-

сигнала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или иная иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными — две черты черным карандашом снизу, над строчными — также две черты черным карандашом сверху. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

10. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем — фамилии автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

11. Краткое содержание всех опубликованных в «Сообщениях» статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

12. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или печатать ее без визы автора.

13. Автору выдается бесплатно 10 отписков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузии  
6.2.1969; внесены изменения 10.2.1992)

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 19, телефоны: 37-22-16, 37-86-42,  
37-85-61

Почтовый индекс 380060

бр. 34/2

ИНДЕКС 76181

